# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 24 აპრილი 2003 №73 (1844) | ფასი 50 თეთრი


# 3 კბილი





## რატომ გვახსენდება შექსპირი და სერვანტესი

UEFA CHAMPIONS LEAGUE



# კალაძემ იცის ინტერი და ნახევარფინალი




REUTERS ფოტოები

გუშინ კახა კალაძემ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მეორედ თამაში დაიბევა — იტალიურმა „მილანმა“ ამსტერდამის „აიაქსს“ მატჩის ბოლო წუთზე გატანილი გოლით აჯობა. გაიტანა „მილანმა“, გაათანაბრა „აიაქსმა“ — სენსაცია არა, მაგრამ მოულოდნელობის მოლოდინში კი ვიყავით, როცა ტომასონმა გამარჯვებისა შავდო და გუნდს ნახევარფინალი გაუნაღდა. ამ გოლს კახა კალაძემ, რომელმაც თითქმის ორი თვე საზარდულის მკურნალობას მოანდომა, სათადარიგოთა სკამიდან უცქირა — როცა ამსტერდამელებმა მეორედ გაათანაბრეს, მწვრთნელმა ჩვენიანი მაშინვე რივალდოთი შეცვალა.

— ძალიან დავიღალე და ნამკურნალები ფეხიც ამტკივდა — გვითხრა კახამ, როცა ნამატჩევს მილანში დავუკავშირდით — საქმე ისაა, რომ საზარდული ბოლომდე მოშუშებული არ მაქვს. სეზონის ჩამთავრებას და თამაშს კი შევძლებ, მაგრამ ზაფხულში ალბათ ოპერაცია დამჭირდება.

**— შეიძლება, რომ 30 აპრილის საქართველო — რუსეთის მატჩი ამის გამო გამოტოვო?**

— არა, რუსების წინააღმდეგ ვითამაშებ, თბილისში კვირას გამოვფრინდები.

**— ელოდა „მილანი“ „აიაქსისგან“ ასეთ წინააღმდეგობას?**

— სერიოზულად ვემზადებოდით ჰოლანდიელებთან შესახვედრად, მაგრამ რაც მოედანზე მოხდა, ჩვენთვისაც გასაკვირი იყო. მთელი მატჩი „აიაქსის“ არც ერთი ფეხბურთელი წამით არ გაჩერებულა, დაუღალავად შრომობდნენ და თანაც, ლამაზი ფეხბურთი ითამაშეს. ერთიცაა, „მილანს“ ზეედორფი და პირლო აკლდნენ, მალდინისა და ჩემი მოედანზე გასვლა კი საეჭვო იყო. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად გავიმარჯვეთ და ძალიან კმაყოფილები ვართ.

**— „ინტერთან“ ნახევარფინალზე რას ფიქრობთ?**

— ხომ წარმოგიდგენიათ ჩვენი მატჩი იტალიის ჩემპიონატში და ახლა ლიგის ნახევარფინალი. „ინტერს“ ვერც ახლა აგცდით, ჩვენი თამაშისას, მჯერა, დაინგრევა მილანი.

**— იქნებ, „ინტერს“ „ვალენსია“ გერჩივნათ?**

— არა, არა, „ინტერთან“ თამაში სჯობს...

**კობა ინასარიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

**მანჩესტერი 4:3 *რეალი* (1:3)**

0:1 რონალდო (12), 1:1 ვან ნისტელროი (43), 1:2 რონალდო (50), 2:2 ელგერა (52ს.კ.), 2:3 რონალდო (59), 3:3, 4:3 ბექემი (71, 84)

მანჩესტერი: ბარტეზი, სილვესტრი (ფ. ნევილი 79), ბრაუნი, ფერდინანდი, ოში, გიგზი, კინი (ფორჩუნი 82), ბათი, ვერონი (ბექემი 63), სოლსკიაერი, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, მაკელელე, ზიდანი, მაკმანამანი (პორტილიო 69), გუტი, ფიგუ (პავონი 88), რონალდო (სოლარი 67)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: ვერონი, ფიგუ, ფორჩუნი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

66 708 მაყურებელი

***მილანი* 3:2 აიაქსი (0:0)**

1:0 ინძაგი (30), 1:1 ლიტმანენი (63), 2:1 შევჩენკო (65), 2:2 პიენაარი (78), 3:2 ტომასონი (90)

მილანი: დიდა, შიმიჩი (ტომასონი 84), ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, კალაძე (რივალდო 80), ბროკი, ამბროზინი, რუი კოშტა (რედონდო 85), შევჩენკო, ინძაგი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, პასანენი, კიჯუ, ვან დამი (ლიტმანენი 46), იაკუბუ, შნეიდერი, ობრაიენი, პიენაარი (დე იონგი 84), იბრაჰიმოვიჩი, ვან დერ მეიდე (ბერგდოლმო 89)

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

გაფრთხილება: ამბროზინი, კოსტაკურტა, პასანენი

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

76 079 მაყურებელი

## ნახევარფინალი

რეალი — იუვენტუსი

6 და 14 მაისი

მილანი — ინტერი

7 და 13 მაისი

ფინალი. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი. 28 მაისი

# ფანჯარაში ფეხია
## მილანმა ფანებს სიცოცხლე გაუხანგრძლივა

სიმართლე გითხრათ, ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული თამაშის მიმოხილვა ძალიან იოლი საქმეა, მაგრამ მოსაწყენი. კარგი თამაშის მიმოხილვაც არ არის ძნელი და თან სასიამოვნოა. მაგრამ ხანდახან ამ კარგ თამაშებს შორის გამოერევა ხოლმე ერთი სრულად ფანტასტიკური წარმოდგენა, რომელიც ყურებისას მოგნუსხავს, თვალს არ მოგაცილებინებს, მერე კი არ იცი, ნანახი ქაღალზე როგორ გადაიტანო. დაწერო, ვინ, რომელ წუთზე საიდან და როგორ დაარტყა, უაზრობაა, შთაბეჭდილება კი იმხელა მიიღე, გგონია, რომ გადმოცემისას რაღაცას აკლებ.

გუშინდელი „მანჩესტერი" — „რეალის" ყურებისას უთუოდ დაგწყდებოდათ გული, რომ ეს მხოლოდ მეოთხედფინალური შეხვედრა იყო, რადგან იგრძნობოდა, რომ საამსეზონო საუკეთესო თამაშს უყურებდით, ისეთს, როგორიც ფინალში გინდოდათ გენეხათ. და იმასაც გრძნობთ, რომ ფინალი, ალბათ, ასეთი არ იქნება.

თამაშამდე ისეთი ვითარება იყო, „მანჩესტერს" ნახევარფინალში გასასვლელად ორი გოლი სჭირდებოდა. თამაში დაიწყო და რონალდომ გაიტანა. ეს თითქოს „მანჩესტერისთვის" დაღუპვის ტოლფასი გოლი იყო და თითქოს თამაშიც ამით უნდა დასრულებულიყო. მაგრამ ეს ხომ არც ჩვეულებრივი და არც კარგი თამაში ყოფილა, ეს ფანტასტიკური თამაში იყო, რომელიც მას მერეც გაგრძელდა, როცა იმავ რონალდომ მესამე გოლი გაიტანა.

რაც თამაში, ისიც გოლები. გუშინდელ მატჩს ყოვლად სულელური ავტოგოლებიც მოუხდა და ბექემის ჯადო-საჯარიმოც, რომლის მსგავსსაც, ალბათ, ბევრი წყალი ჩაივლის და ვერ ვნახავთ.

ამ თამაშის ყურებისას ერთი კითხვაც გაგიჩნდებოდათ: ვინ უნდა შეუშალოს ხელი „რეალს" ჩემპიონთა თასის მეათედ მოგებაში? „ინტერმა"? არა. „მილანმა"? ოქტომბერში იყო მაგარი, ერთ კვირაში კი მაისია. ალბათ, ისევ „იუვენტუსმა", რომელიც „რეალს" ნახევარფინალში ხვდება. იქ უთუოდ დიდი ბრძოლა იქნება, მაგრამ საეჭვოა, „მანჩესტერი" — „რეალივით" ლაღი იყოს.

და „მილანი"? „ინტერი" ოდენ ფრანჩესკო ტოლდოს უბრწყინვალესი თამაშით გაძვრა ნახევარფინალში, ათკაცა „იუვემ" დამატებით დროში გაიტანა გამარჯვების გოლი, მესამე იტალიური კლუბის თავგადაკლული ფანები კი, ეგებ ფანჯრიდანაც რომ ხტებოდნენ, ბოლო წამებზე გადაურჩნენ სიკვდილს.

„მილანი" ორჯერ იყო ინფარქტისწინა მდგომარეობაში. მეორედ, როცა თამაშის დასრულებამდე 12 წუთიღა რჩებოდა. მერე დროის უკუღმა ათვლა დაიწყო: თერთმეტი, ათი, ცხრა... და როცა სიკვდილი უნდა დაფიქსირებულიყო, სწორედ მაშინ გაცოცხლდა.

მაგრამ ვინ დათვლის, „მილანის" გაცოცხლებასა და მილანური დერბის მოლოდინს „აიაქსის" რამდენი ქომაგის გული შეეწირა.

კახა კალაძე, პირველი ქართველი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, იქ მეორედ ითამაშებს.

**კოტე კეკელია**

## მანჩესტერი — რეალი



REUTERS

რონალდომ გაიხსენა, რომ რონალდოა

## მილანი — აიაქსი



REUTERS

ფილიპო ინძაგიმ ერთი ხომ გაიტანა, ორშიც ლომის წილი დაიდო

### პოლონეთი

თასის 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

*ვისლა* 1:1 ვიძევი (2:1)

*პლოცკი* 1:1 რადომსკო (1:0)

### საბერძნეთი

თასის 1/2 ფინალი. პირველი მატჩი

აეკ 0:1 პაოკ

თასის 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

*არისი* 0:0 ეგალეო (1:1)

### რუსეთი

პრემიერლიგა. VI ტური

ჩერნომორეცი 0:1 ცსკა

როსტოვი 3:1 სპარტაკ-ალანია

სატურნი 1:1 კრილია სოვეტოვი

სპარტაკი 1:1 ზენიტი

რუბინი 0:0 ურალანი

### ინგლისი

მეორე დივიზიონი. XLIV ტური

სუინდონი 2:0 პლიმუთი

### თურქეთი

თასის ფინალი

გენჩლერი 1:3 ტრაბზონი

### ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. XXX ტური

რაპიდი 0:0 გრაცერი

ბრეგენცი 2:1 პაშინგი

რიდი 1:2 ზალცბურგი

ადმირა 4:0 კერნტენი

### ჩეხეთი

თასის 1/4 ფინალი

ბუდეიოვიცე 3:1 პრჟიბრამი

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები


KO INJUSTO...

EL PARTIDO

FCB JUVENTUS

1-2

CRUEL ELIMINACION EN LA PRORROGA

El Barça se quedó sin su gran sueño de ganar la Champions



კატალონიურმა „სპორტმა“ „ბარსელონას“ გავარდნა უსამართლობად ჩათვალა და თითი გრემ პოლისკენ გაიშვირა

# აშკარად ძლიერის და უფრო ჭკვიანის ამბავი

**ბარსელონა 1:2დ.დ. (1:1) *იუვენტუსი* (1:1)**

**0:1 ნედვედი (53), 1:1 ხავი (66), 1:2 ზალაიეტა (114)**

**ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, ანდერსონი (მენდიეტა 61), დე ბური, რაიციგერი (ხერარდი 91), ოვერმარსი (რიკელმე 85), ხავი, მოტა, ლუის ენრიკე, კლუივერტი, სავიოლა**

**მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი**

**იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი (ბირინდელი 46), ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო (ტუდორი 83), დი ვაიო (ზალაიეტა 46)**

**მწვრთნელი: მარჩელო ლიპი**

**გაფრთხილება: ძამბროტა, მონტერო, დავიდსი, ლუის ენრიკე, დავიდსი, ტაკინარდი, ხერარდი, მოტა, ბუფონი**

**გაძევება: დავიდსი (80)**

**მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)**

**95 000 მაყურებელი**

ეჭვი არ არის, გულშემატკივარს უპირველეს ყოვლისა მწვრთნელთა გამონათქვამები აინტერესებს, ამიტომ ამთავითვე პრესკონფერენცია მიმოვიხილოთ. თავიდან გამარჯვებული გუნდის, ტურინის „იუვენტუსის“ თავკაცს მარჩელო ლიპის მოვუსმინოთ:

„მეტად თავისებური გუნდი გვყავს. თავიდან რამდენიმე კარგი მომენტი გვქონდა, ხოლო შემდეგ, როდესაც მოედანზე უმცირესობაში დავრჩით, ბრწყინვალედ ვითამაშეთ და „ბარსელონა“ შეჯიბრებას გამოვთიშეთ. ვფიქრობ, ჩვენი უპირატესობა მატჩის ამოხსნაში, მისი კონკრეტული პრობლემების მიხვედრაში იყო, რაც ზოგადად, შესაძლოა, ლამაზი არ არის, მაგრამ შედეგიანია. საქმის პენალტებამდე მიყვანა არც გვიფიქრია. ვიცოდი, რომ ათი კაცითაც არ დავთმობდით არაფერს. მომენტები ათი კაცითაც შევქმენით. „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ძალიან დიდი ხანია არ ყოფილა, მაგრამ შარშან სკუდეტო მოვიგეთ, ახლა კი, ნახავთ, ამ თამაშის შემდეგ ხელახლა ავღორძინდებით“.

კითხვაზე, ვისთან თამაში უჯობს ნახევარფინალში, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თუ „რეალთან“, ლიპიმ მიუგო:

„უპირატესობას ვერც ერთს ვერ მივანიჭებ. ამ ორი დიდი გუნდიდან რომელიმეს დასამარცხებლად გვარიანი დახარჯვა მოგვიწევს“.

„ბარსელონას“ მწვრთნელი რადომირ ანტიჩი:

„ფაქტი ის არის, რომ ოცნება უხეშად, უსამართლოდ დამთავრდა. რაღა დარჩა? დილით უაზროდ უნდა გავიღვიძოთ. ყველა ღონე ვიხმარეთ, გოლი კი ვერ გავიტანეთ. ბოლოს დიდებული შესაძლებლობა გვქონდა, მაგრამ პატრიკ კლუივერტმა მეკარეს გაარტყა — ასეთი მომენტები თამაშის ბედს წყვეტს. ფეხბურთში ასეა, ხანდახან ძლიერი გუნდი მარცხდება. დღეს „ბარსელონა“ „იუვენტუსზე“ გაცილებით, აშკარად ძლიერი იყო. ასეთი ფეხბურთის შემდეგ ადამიანს საკუთარი თავი მოგწონს, მაგრამ ვიცი, რომ იმიჯით ვერ იკვებები, მას ვერ გაჰყიდი. ამიერიდან სიძნელეები გველის, დღევანდელმა მატჩმა მორალური დარტყმის გარდა ფიზიკური ზარალიც მოგვაყენა და ბევრი დაშავებული ფეხბურთელი დაგვიტოვა“.

ბარსელონელთაგან თავისი აზრი ლუის ენრიკემ და ხავიმაც გამოთქვეს.

ლუის ენრიკე: „ჩვენ ბევრი მომენტი გავუშვით ხელიდან. მათ შორის ყველაზე აშკარა ჩემი იყო. ასე დამარცხებამ ძალიან მატკინა გული“.

ხავი: „ეს იყო უბედურება. ერთ წამში ყველაფერი ყირაზე დადგა და ეს საშინელ საფასურად დაგვიჯდა“.

თქვენი ნებართვით, ერთ კერძო მოსაზრებას მოგახსენებთ. ჩვენ, რასაკვირველია პრესკონფერენციას არ დავსწრებივართ, მაგრამ ეჭვი გაგვიჩნდა, რომ იქ ჯერ ანტიჩმა ილაპარაკა, შემდეგ კი ლიპიმ. ასე ფიქრის მიზეზს ის გვაძლევს, რომ ლიპი, როგორც წესი, ტაქტიანია და ნებისმიერ მოწინააღმდეგეზე „დიდი გუნდია“, „ჩინებულად გვეთამაშას“ გაიძახის, აქ კი, რომ მოისმინა როგორ ჯობდა მის „იუვენტუსს“ ანტიჩის „ბარსელონა“ გაცილებით და აშკარად, როგორ უწოდეს ტურინელთა გამარჯვებას უსამართლობა, განაცხადა — მეტოქეს „კონკრეტული პრობლემების მიხვედრაში“ ვაჯობეთო. რას ნიშნავს ეს? ეს არც „ბარსელონას“ ლანძღვაა და არც მისი თამაშის კრიტიკა, ეს ანტიჩის მისამართით ნათქვამი სიტყვებია, ქვეტექსტით: გამგებმა გაიგოს.

ჩვენი აზრით კი, ორივე გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა. ვნებათაღელვა და დრამატიზმი, ბუნებრივია, უნდა ყოფილიყო და მოუხდა კიდეც შეხვედრას. იყო საგოლე მომენტები. ზემოთ კლუივერტისა და ლუის ენრიკეს უიღბლობა ვახსენეთ, მათთან ერთად დელ პიეროს და დი ვაიოს შესაძლებლობებზეც უნდა ითქვას, ამას დაამატეთ გოლები და ჯამში დაუვიწყარ სანახაობას მიიღებთ.

რატომ გამოცვალა ლიპიმ მეორე ტაიმის ბოლოს დელ პიერო? ვფიქრობთ, გასაგები მიზეზის გამო: მსაჯმა, ინგლისელმა გრემ პოლმა, მოედნიდან ედგარ დავიდსი გააძევა (სრულიად სამართლიანად), რის შემდეგაც „ბებერი ქალბატონის“ ნახევარდაცვაში დიდმა სიცარიელემ დაადო პირი და მისი შევსება მწვრთნელმა ორიდან ერთი ფორვარდის ნაცვლად იგორ ტუდორის შეყვანით გადაწყვიტა. შემდეგ, შეხვედრის მსვლელობამ და მიმხდარმა მოვლენებმა დაამტკიცა, რომ ლიპი მართალი იყო — „იუვეს“ შეტევაში დარჩენილმა თავდამსხმელმა, მარსელო ზალაიეტამ მარტომაც ისარგებლა თავისი წილი შესაძლებლობით და გამარჯვების გოლი გაიტანა.

რაც შეეხება ტელევიზიით უამრავჯერ გამეორებულ ეპიზოდს — ბურთი საჯარიმოში ტურინელ ლილიან ტურამს ხელზე რომ ხვდება — იგი მსაჯის შესაფასებელი იყო, პოლმა კი ეპიზოდი კატალონიელთა საზიანოდ აღიქვა.

**პაპუნა ძიძია**

**ვალენსია 2:1 *ინტერი* (0:1)**

**0:1 ვიერი (4), 1:1 აიმარი (7), 2:1 ბარახა (50)**

**ვალენსია: კანისარესი, რეველიერი, აიალა, მარჩენა, კარბონი (ფ. აურელიო 80), ანგულო, ბარახა, აიმარი (მისტა 84), ვისენტე, კარეუ (რუფეტე 73), ხუან სანჩესი**

**მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი**

**ინტერი: ტოლდო, კორდობა, გამარა, მატერაცი, პასკუალე (ადანი 46), ხ. ძანეტი, დი ბიაჯო (ოკანი 75), კ. ძანეტი, დალმა, ვიერი (რეკობა 32), კრესპო**

**მწვრთნელი: ექტორ კუპერი**

**გაფრთხილება: ვიერი, პასკუალე, ბარახა, ანგულო, ტოლდო, დი ბიაჯო, კ. ძანეტი, მარჩენა**

**მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)**

**52 000 მაყურებელი**

# ინტერი უსუსტესი გუნდია მაგრამ მას ტოლდო ჰყავს

**ფრანჩესკო** ტოლდოს ბრწყინვალე თამაშისა და კრისტიან ვიერის ადრიანი გოლის წყალობით „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გააღწია. „ინტერს“ უმთავრესი ევროტურნირის ნახევარფინალში მთელი 22 წელია, აღარ უთამაშია. ხოლო კაცმა, რომელმაც 2000 და 2001 წლებში ზედიზედ ორჯერ გაიყვანა „ვალენსია“ ლიგის ფინალში, ახლა ყველაფერი იღონა თავისი ძველი გუნდის ევროპული ვოიაჟის შესაწყვეტად.

„ვალენსია“ 85 წუთი უკანმოუხედავად უტევდა, ამ 85 წუთს კი ვიერის გოლი უძლვოდა, მატჩის ბედის გადამწყვეტი გოლი. მაგრამ ეს 85-წუთიანი შტურმი ესპანელთათვის არაფრისმომცემი გამოდგა, რაკი სამი გოლის გატანა მართებდათ, მათ კი მხოლოდ ორის გატანა შეძლეს. პაბლო აიმარმა ვიერის გოლიდან ორ წუთში გაქვითა, რუბენ ბარახამ მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაათანაბრა და ეს იყო და ეს, ბრწყინვალე ტოლდომ „ვალენსიას“ სანუკვარი მესამე გოლი აღარ გაატანინა.

ექტორ კუპერი, ცხადია, ბედნიერი იყო: „მიზანს მივაღწიეთ, ნახევარფინალში ვართ. მართალია, ამისთვის იოლად არ მიგვიღწევია, მაგრამ შარშან უფრო გაგვიჭირდა. მეორე ტაიმი პირველზე უკეთ ჩავატარეთ, ანგულოს, ბარახას და აიმარის ჩაკეტვა შევძელით“.

კუპერმა შარშანდელი ამბავი რომ გაიხსენა, შეგახსენებთ: „ინტერი“ და „ვალენსია“ მაშინ უეფას თასის მეოთხედფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს და „ინტერი“ ნახევარფინალში სწორედ „მესტალიაზე“ გატანილი გოლის წყალობით გავიდა. იმ მატჩში მილანელებს ტოლდოც გაუგდეს.

ექტორ კუპერმა ისიც თქვა, ვიერის ტრავმა ძალიან მაშფოთებს და პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში კრისტიან ძანეტიც რომ არ გვეყოლება, უდიდესი დანაკლისიაო. ძანეტიმ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

ვიერის ამბავი კი ასეა: მან მარჯვენა მუხლის მყესები დაიზიანა, თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო და ახლა საგულდაგულო გამოკვლევის პასუხს ელიან. თუ ექიმთა შიში დადასტურდა, ვიერი კარგა ხანს ველარ ითამაშებს.

ესპანეთს შარშანდელი ჩემპიონისთვის საამსეზონო ბრძოლა თითქმის დასრულდა — აღარც ლიგა და აღარც პრიმერადივიზიონის მოგების იმედი. ერთადერთი, რისთვისაც რაფაელ ბენიტესის გუნდი ბრძოლას აგრძელებს, გაისისთვის ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნებაა. წლევანდელი ლიგიდან კი „ვალენსიას“ ნუგეშად ის თუ გაყვება, რომ მთელი ტურნირი შემტევი ფეხბურთი ითამაშა. „ცხადია, გულმოკლული ვარ — თქვა ბენიტესმა — ჩემი აზრით, დღეს მხოლოდ „ვალენსიამ“ კი არა, ზოგადად ფეხბურთმა წააგო. მეტოქე ძალიან უხეშობდა და მუდმივად დროის გაყვანის ცდაში იყო. არადა, ჩვენ დღეს ბრწყინვალედ ვითამაშეთ“.

ყმაწვილმა ნახევარმცველმა ვისენტემ, რომლის რამდენიმე სახიფათო დარტყმაც ტოლდომ მოიგერია, მეტოქე ასე შეაფასა: „ვფიქრობ, „ინტერი“ უსუსტესი გუნდია იმათგან, ვისაც ბოლო წლებში „მესტალიაზე“ უთამაშია, მაგრამ ამ უსუსტეს გუნდს ბრწყინვალე მეკარე ჰყავს“.


REUTERS

ფრანჩესკო ტოლდომ სანტიაგო კანისარესზე მეტი გოლი გაუშვა, მაგრამ მაინც საუკეთესო იყო

სანტიაგო კანისარესმა კი ფილოსოფიურად შენიშნა, დაცვა შეტევაზე არანაკლებ მნიშვნელოვანიაო.

მასპინძელთა მთავარი იმედგაცრუება რობერტო აიალას უხეში შეცდომა იყო, რისი გამოისობითაც ვიერი კანისარესს პირისპირ შეეყარა და გაუტანა. არადა, აგერ სეზონი იწურება და აიალას აქამდე ეგეთი შეცდომა არ დაეშვა. „გოლი ჩემი შეცდომით გავიდა — აღიარა არგენტინელმა — უბრალოდ არ შემიძლია, ლიგიდან გავარდნაში საკუთარი თავი არ დავადანაშაულო“.

„ვალენსიამ“ კი გოლები ასე გაიტანა: იონ კარეუმ „ინტერის“ საჯარიმოში ივან კორდობა მოატყუა და ბურთი აიმარს გადაულოცა. ამან თავის მხრივ გამარა ჩამოიცილა და ტოლდოს საყრდენ ფეხს ქვემოთ გაუძვრინა. მეორე გოლი აიმარის ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა, რომელსაც რუბენ ბარახა თავით გამოეხმაურა.

სულ „ვალენსიამ“ მეტოქის კარისკენ 27-ჯერ დაარტყა, რომელთაგანაც 13 კარში წავიდა.

**გიორგი დარჯანია**

# უეფას თასი 2002-2003. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

## ლაციო – პორტუ (1:4)

რომი. „სტადიო ოლიმპიკო“. მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| მარკეჯანი, ოდო, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, სეზარი, ფიორე, ლივერანი, დ. სტანკოვიჩი, კიეზა, ს. ინძაგი, კ. ლოპესი | ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, ტ. პერეირა, დეკო სოუზა, მ. რიბეირუ, ალენიჩევი, პოსტიგა, დერლეი სილვა |

## ბალდ-ქალიანად პორტუს წინააღმდეგ



რობერტო მანჩინიმ მთელი რომი „პორტუს“ წინააღმდეგ დაგეშა

რობერტო მანჩინის თავსატეხი სამი გოლის გაქვითვაა, თან საკუთარ კარში ერთიც არ უნდა გაუშვას. როგორ აპირებს მწვრთნელი ამოცანის ამოხსნას? პირველ რიგში, „ლაციომ“ ერთგვარი აქცია მოაწყო და გულშემატკივრებს ტრიბუნების შევსებისკენ მოუწოდა. ქალებისა და 16 წლამდე ბავშვებისთვის ბილეთები თითქმის მუქთად, ძალიან იაფად გაიყიდა. მთლიანად კი, დაახლოებით, 46 000 ბილეთი გასაღდა.

მოკლედ, რობერტო მანჩინის და მის „ლაციოს“ საკუთარი თავის გარდა ქომაგთა დიდია იმედი აქვს. მასპინძელთა თავკაცმა იცის, რომ საჭიროა ბევრი გოლის სწრაფად გატანა. ამიტომ იგი თამაშის დაწყებას სამი თავდამსხმელით აპირებს. სავარაუდოდ, „პორტუს“ კარს ენრიკო კიეზა, სიმონე ინძაგი და კლაუდიო ლოპესის ტრიო შეუტევს. დაცვის ფლანგებს მასიმო ოდო და სეზარი ჩაიბარებენ. შუაში კი სტეფანო ფიორეს, ფაბიო ლივერანის და დეიან სტანკოვიჩს გაამწესებს.

იაპ სტამი ტრავმირებულია, თან „ლაციოში“ დარჩენა აღარ სურს და თვალი „იუვენტუსისკენ“ უჭირავს. ჰოლანდიელის ნაცვლად ფერნანდო კოუტუ ითამაშებს. დაცვის ცენტრში მას სინიშა მიხაილოვიჩი შეუწყვილდება.

მიხაილოვიჩს სჯერა, რომ სასწაული შეიძლება მოხდეს: „ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს. პორტუში სულ სხვა, არარეალური „ლაციო“ იყო, ამჯერად კი რეალურ ძალას ვაჩვენებთ. მართალია, ვერ დავიწყებ მტკიცებას, არიქა, ფინალში გავალთო, მაგრამ რწმენა არ უნდა დავკარგოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს შესაძლებელია. ცხადია, თუ გოლი გავუშვით, საქმე ძალიან გართულდება, მაგრამ არც ამ შემთხვევაში გვმართებს ყურების ჩამოყრა“.

მასპინძელთა მთავარი მეკარე ანჯელო პერუცი შეუძლოდაა და მის მაგივრად კარში ლუკა მარკეჯანი ჩადგება.

ჟოზე მაურინიუს მიაჩნია, რომ „პორტუს“ წარმატების ერთ-ერთი მიზეზი კლუბის ბოსების გამართული საქმიანობაა: „გუნდში ყველაფერი კარგდაა აწყობილი. გვყავს შესანიშნავი პრეზიდენტი და ფეხბურთელებს შორისაც ჯანსაღი ურთიერთობებია. ჩემი მოთამაშეები ტექნიკურ-ტაქტიკურად მაღალ დონეზე არიან მომზადებულნი და „პორტუს“ ღირსების დასაცავად ნებისმიერ მატჩში თავს არ დაზოგავენ. მათ არც ამბიცია აკლიათ და არც ზომიერი აგრესია, თუმც პორტუგალიის ჩემპიონატში სოლიდური სხვაობით ლიდერობა უეფას თასზე ძალიან დაგვეხმარა. კონკურენტებთან 3-4 ქულიანი უპირატესობა რომ გვქონოდა, ვფიქრობ, უეფას თასის ნახევარფინალამდე ვერც მივაღწევდით, რადგან ქვეყნის ჩემპიონობა ჩვენთვის უმთავრესია“.

ჟოზე მაურინიუს აზრით, 4:1 საკმაოდ დიდი ფორაა და „პორტუ“ ასეთ უპირატესობას არ გაანიავებს: „პირველ მატჩში საკმაოდ დამაჯერებლად ვიმარჯვეთ და ამიტომაც მჯერა — ფინალში „პორტუ“ გააღწევს. რა თქმა უნდა, „ლაციოს“ მშობლიურ სტადიონზე ისევე კარგად შეუძლია თამაში, როგორც ჩვენ პორტუში. ძლიერ გუნდებს გმირობა ხელეწიფებათ და, „ვფიქრობ, შანსი „ლაციოსაც“ აქვს“.

სტუმართა მწვრთნელი დისკვალიფიცირებულია და „სტადიო ოლიმპიკოს“ ტრიბუნებზე მოკალათდება. „მე საკუთარი ტაქტიკა მაქვს — თქვა მაურინიუმ — რომლის შეცვლასაც ყოველ ორ დღეში არ ვაპირებ, თუნდაც ექვსი მცველით თამაში ფინალში გასვლის გარანტიას მაძლევდეს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ბოავიშტა – სელტიკი (1:1)

პორტუ. „ბესა“. მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| რიკარდუ, ბოსინგვა, ავალოსი, ედერი, მარიუ, ფილიპე, პედროსა, პედრუ სანტუში, ჟორჟე კოუტუ, კლაუდიუ, ელპიდიუ სილვა | დუგლასი, მიალბი, ბალდე, ვალგაერენი, აგატი, ა. ტომპსონი, ლენონი, სატონი, ს. პეტროვი, ლარსონი, ჰართსონი |

## ჩვენ არ ჩავჯდებით!

### არც ერთი ნაბიჯი უკან, ერთ ნაბიჯში ფინალია

დღეს „სელტიკს“ პორტუგალიაში ისტორია დაუხვდება. 1967 წელს „სელტიკმა“ ლისაბონში, ჩემპიონთა თასის ფინალში, „ინტერს“ სძლია და შინ ხელდამშვენებული დაბრუნდა. სქოთებმა ლისაბონურ მატჩს მხოლოდ წიგნები და სიმღერები კი არა, სპექტაკლიც მიუძღვნეს, რომელსაც გლაზგოში მაყურებელი არასოდეს აკლდა.



ჰენრიკ ლარსონს პირველ მატჩში პენალტი რომ არ გაეფუჭებინა...

მოგვიანებით, 1972 და 1974 წლებში, „სელტიკმა“ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალს ორჯერ უწია. პირველად „ინტერს“ ვერ გასცდა, მეორედ — მადრიდის „ატლეტიკოს“. მას შემდეგ ევროთასებზე „თეთრ-მწვანეთა“ ტრიუმფი აღარავის უნახავს. გუნდი სამი წლის წინ მარტინ ონილის ჩაიბარეს და ისიც რიხით დაბრუნდა ევროპაში.

უეფას თასის ნახევარფინალში „სელტიკი“ და „ბოავიშტა“ აქამდე არასოდეს გასულან. „თეთრ-მწვანეებმა“, უდიდესი სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, პირველ მატჩში მეტოქეს ვერ მოუგეს, „ბოავიშტამ“ ფრით ფრიად გაიხარა. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ „სელტიკი“ მეოთხედფინალში შინ „ლივერპულსაც“ 1:1-ზე დაუზავდა, მაგრამ „ენფილდზე“ საპასუხო შეხვედრაში აჯობა.

„ნებისმიერ მატჩში ჩვენ მოსაგებად ვთამაშობთ. ქვეყნის ჩემპიონატში მოდუნების საშუალება არ გვაქვს და ევროთასებზეც ყოველთვის მობილიზებულნი ვართ. ამჯერად მიზანთან ისე ახლოს მივედით, რომ უკან დახევას ცოცხალი თავით არ ვაპირებთ. „ბოავიშტა“ შარშან ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა, გამოცდილებაც მეტი აქვს, თუმც „სელტიკიც“ არაა ხელწამოსაკრავი. გუნდის ბევრი ფეხბურთელი უკვე კარიერის დასრულებაზე ფიქრობს და შეიძლება, ევროთასის ფინალში ველარასოდეს მოხვდეს. ამიტომ ფინალში გასასვლელად თავს არ დავზოგავთ“ — თქვა ნილ ლენონმა.

მარტინ ონილი კრის სატონის გამოჯანმრთელებითაა გახარებული, რომელიც დღეს ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება. სატონი მარტში დაშავდა და „ბოავიშტასთან“ პირველ მატჩში გუნდს მისი ფეხი აშკარად აკლდა: „იგი ჩვენთვის დიდი ძალაა და გადამწყვეტ შეხვედრებში არაერთი გადამწყვეტი გოლიც გაუტანია. ახლა ნახევარფინალში ვართ და ბევრი მკითხაობა საჭირო არაა, უნდა შევეცადოთ, დებიუტშივე სწრაფად დავწინაურდეთ“ — ასე ფიქრობს მარტინ ონილი.

ჰენრიკ ლარსონმა იცის, გულშემატკივრებს რაც სურთ: „ეს ჩვენთვის მძიმე კვირა იქნება. ჯერ „ბოავიშტა“, მერე კი „რეინჯერსი“ გველის. ფანებს მხოლოდ „სელტიკის“ გატანილი გოლები და სიხარული სწყურიათ.“

ფრანგმა დიდიე აგატიმ დღევანდელი მატჩი უკვე ნახა: „დარწმუნებული ვარ, რომ თვალსასეირო მატჩი იქნება და ქომაგები ალალი ფეხბურთით ისიამოვნებენ. ჩვენ ფინალში თამაში გვწადია და ასეთი შანსი ყოველდღე არ გვექნება. მძიმე ბრძოლა გველის.“

„არავინ იფიქროს, რომ „ბოავიშტა“ ათი კაცით დაცვაში ჩადგება და უგოლო ფრისთვის ითამაშებს. მსგავსი რამ გამორიცხულია. ჩვენ მასპინძლები ვართ და შევუტევთ“ — თქვა „ბოავიშტას“ მეკარემ რიკარდუ პერეირამ, რომელმაც გლაზგოურ მატჩში ჰენრიკ ლარსონს პენალტი არ გაატანინა.

პორტუელებს ერთი ფორვარდი, მარტელინიუ ტრავმის გამო დააკლდებათ, მცველი პაულუ ტურა კი დისკვალიფიცირებულია, მის ნაცვლადაც ფერნანდო ავალოსი ითამაშებს.



...ელპიდიუ სილვა დიდ გულზე ეგებ არც ყოფილიყო




მარკ ვიდუკას გოლებმა „ლიდსი“ მაღლა ასწია

# კვლავ ვიდუკას გოლებით

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXV ტური

**ლიდსი 2:0 ფულემი**

1:0, 2:0 ვიდუკა (4, 49)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, დაბერი, მილსი, ჰარტი, კოუელი, ბაკე, მატეო, უილკოქსი, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ფულემი: მაიკ ტეილორი, ფინანი, მელვილი, ჯეტუ (ნაითი 10), ჰარლი, შ. დევისი, კლარკი, ლეგვინსკი, ინამოტო (მეილსი 46), ბოა მორტე, ჰემონდი
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: ბოა მორტე, მეილსი
მსაჯი: ბერი
37 220 მაყურებელი

**მარკ ვიდუკას** ორმა გოლმა „ფულემის“ კარში, „ლიდსს“ სამი ქულა და პრემიერლიგაში საგაისოდაც ყოფნის ადგილიც კოხტად მოუმაგრა.

ბოლო კვირეებია, ვიდუკა „ლიდსის“ მთავარი ძალა და იმედი შექნილა: ზედიზედ ექვს თამაშში მას ათი გოლი გაუტანია. „ფულემის“ კარში ტაიმების დასაწყისში გატანილმა თითო ბურთმა „ლიდსი“ მეთხუთმეტე ადგილზე განამტკიცა და გასავარდნ სამეულს 6 ქულით ააშორა.

იორკშირელთა ახალი მენეჯერი პიტერ რიდი, რომელიც გოლების მიუხედავად მაინც აკრიტიკებდა ვიდუკას, გუნდურ თამაშში ვერ მონაწილეობს და იმ დღეს ვარჯიშზეც დააგვიანაო, ამჯერად კრიტიკას ქებასაც ურთავდა: „მარკი ფანტასტიკური ფეხბურთელია. თუმცა, გუნდურ თამაშში უკეთესი უნდა იყოს და ცხოვრებაში ამდენს არ უნდა ზოზინებდეს. თუმცა, რაც დღეს ჩაიდინა, დიდი ფეხბურთელის უნარია და ეს შველის“.

ამ გამარჯვებით კი „ლიდსმა“ „ფულემი“ ზურგსუკან დატოვა, „ბოლტონს“ კი ორი ქულით გადაუსწრო.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 35 | 22 | 8 | 5 | 66:32 | 74 |
| არსენალი | 34 | 21 | 8 | 5 | 71:36 | 71 |
| ჩელსი | 35 | 18 | 9 | 8 | 65:35 | 63 |
| ნიუკასლი | 35 | 19 | 5 | 11 | 59:46 | 62 |
| ლივერპული | 35 | 17 | 10 | 8 | 53:37 | 61 |
| ევერტონი | 35 | 16 | 8 | 11 | 45:44 | 56 |
| ბლექბერნი | 35 | 14 | 11 | 10 | 44:40 | 53 |
| ტოტენჰემი | 35 | 14 | 8 | 13 | 50:51 | 50 |
| საუთჰემპტონი | 34 | 12 | 12 | 10 | 40:38 | 48 |
| სიტი | 35 | 14 | 6 | 15 | 45:51 | 48 |
| მიდლსბრო | 35 | 12 | 10 | 13 | 42:38 | 46 |
| ჩარლტონი | 35 | 13 | 7 | 15 | 42:50 | 46 |
| ბირმინგემი | 35 | 12 | 8 | 15 | 36:45 | 44 |
| ასტონ ვილა | 35 | 11 | 9 | 15 | 39:42 | 42 |
| ლიდსი | 35 | 12 | 5 | 18 | 50:51 | 41 |
| ფულემი | 35 | 11 | 8 | 16 | 37:49 | 41 |
| ბოლტონი | 35 | 9 | 12 | 14 | 36:48 | 39 |
| ვესტ ჰემი | 35 | 8 | 11 | 16 | 38:57 | 35 |
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 6 | 6 | 23 | 26:56 | 24 |
| სანდერლენდი | 35 | 4 | 7 | 24 | 21:59 | 19 |

# ჩაქუჩს ტარი მოქვრება?...
## დი კანიომ, ლაციოო

**დაახლოებით** ერთი თვის წინ მოხდა: გლენ რიოდერმა პაოლო დი კანიო პრემიერლიგის მატჩში შეცვალა და იტალიელის გულისწყრომა დაიმსახურა. დი კანიომ გუდას პირი მოხსნა და მწვრთნელზე შავად ილაპარაკა მერე ისიც დაამატა, უჩემოდ „ვესტ ჰემს“ თამაში არ მოუგიაო, თან ცხელ გულზე გუნდიდან წასვლითაც დაიმუქრა.

ფეხბურთელის აგენტ მატეო როჯის თქმით, ფიცხი იტალიელი, შესაძლოა, ყოფილ გუნდს, რომის „ლაციოს“ დაუბრუნდეს, სადაც 1987-90 წლებში ირიცხებოდა და ერთ შეხვედრაშიც კი არ უთამაშია. პაოლო დი კანიო „ვესტ ჰემის“ ფანთა ჯილაა, მაგრამ მწვრთნელთან გართულებული ურთიერთობების გამო სავარაუდოდ ინგლისს დატოვებს. მით უმეტეს, რომ „ჩაქუჩთა“ ბოსები მასთან კონტრაქტის გაგრძელებას აღარ აპირებენ.



ყველას თავისი გზა აქვს: პაოლო დი კანიოს რომში, გლენ რიოდერს სააველმყოფოში

„ჩვენ „ლაციოსთან“ მოლაპარაკების დაწყება გვსურს — თქვა მატეო როჯიმ — ვიცით, რომ რომაულ კლუბს ფინანსურად უჭირს. რომაელები საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვასაც კი აპირებენ. რთული ვითარების მიუხედავად, პაოლო თანახმაა, შედარებით ნაკლები ჯამაგირის სანაცვლოდ ითამაშოს, ოღონდ კი ბურთს არ მოსწყდეს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა XXX ტური

**შტურმი 0:3 აუსტრია**

0:1 გილევიჩი (28), 0:2 იანოჩკო (63), 0:3 რუშფელდტი (68)
შტურმი: ვებერი, შტრაფნერი, მ. ჰაასი, ბრეჟეკი, ფეტლი, ბოსნარი, დაგი, ნ. ამოა, მასუდი (ზალმუტერი 76), ანგანი (პრეგელი 46), ზაუმელი (პეტროვიჩი 46)
*დავით მუჟირი დისკვალიფიცირებული იყო*
მწვრთნელი: ფრანკო ფოდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 30 | 20 | 5 | 5 | 57:21 | 65 |
| გრაცერი | 29 | 12 | 10 | 7 | 44:29 | 46 |
| პაშინგი | 29 | 13 | 7 | 9 | 37:27 | 46 |
| შტურმი | 30 | 13 | 3 | 14 | 42:52 | 42 |
| ზალცბურგი | 29 | 11 | 8 | 10 | 37:40 | 41 |
| რიდი | 29 | 10 | 7 | 12 | 36:39 | 37 |
| რაპიდი | 29 | 9 | 9 | 11 | 32:34 | 36 |
| კერნტენი | 29 | 9 | 7 | 13 | 35:44 | 34 |
| ადმირა | 29 | 6 | 10 | 13 | 25:44 | 28 |
| ბრეგენცი | 29 | 5 | 10 | 14 | 38:53 | 25 |

## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი

**ნანსი 0:0 ლორიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 33 | 19 | 9 | 5 | 47:19 | 66 |
| ლე მანი | 34 | 17 | 11 | 6 | 44:31 | 62 |
| მეცი | 34 | 17 | 10 | 7 | 47:27 | 61 |
| ლორიანი | 34 | 16 | 10 | 8 | 38:27 | 58 |
| შატორუ | 34 | 15 | 10 | 9 | 36:28 | 55 |
| გრენობლი | 34 | 11 | 12 | 11 | 38:27 | 45 |
| ლავალი | 34 | 13 | 6 | 15 | 37:39 | 45 |
| კაენი | 34 | 10 | 14 | 10 | 40:37 | 44 |
| ნიორი | 34 | 11 | 11 | 12 | 36:37 | 44 |
| გენიონი | 33 | 11 | 10 | 12 | 30:33 | 43 |
| ამიენი | 34 | 10 | 12 | 12 | 25:30 | 42 |
| სენტ ეტიენი | 33 | 9 | 14 | 10 | 29:27 | 41 |
| კლერმონი | 34 | 11 | 8 | 15 | 35:44 | 41 |
| ნანსი | 34 | 10 | 11 | 13 | 29:42 | 41 |
| ვალანსი | 34 | 10 | 10 | 14 | 36:41 | 40 |
| ისტრი | 34 | 10 | 10 | 14 | 30:50 | 40 |
| კრეტეი | 33 | 6 | 16 | 11 | 31:36 | 34 |
| ვასკეალი | 33 | 6 | 16 | 11 | 21:29 | 34 |
| ბოვე | 34 | 8 | 9 | 17 | 17:29 | 33 |
| რეიმსი | 33 | 5 | 15 | 13 | 25:38 | 30 |

## ნორვეგია

### II ტური

**ბრანი 1:6 რუსენბორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| სოგნდალი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ვიკინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ტრომსიო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| მოლდე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 |
| სტაბეკი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ვოლერენგა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ბოდიო გლიმტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ოდ გრენლანდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ლილესტრიომი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| ლინი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ბრანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| ალესუნდი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| ბრინი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## შვედეთი

### III ტური

**ჰამარბი 1:1 აიკ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:0 | 9 |
| ჰამარბი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ლანდსკრონა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| აიკ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| გიოტებორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| მალმიო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| იოსტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ჰალმსტადი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| იორგრიტე | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| იორებრო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| სუნდსვალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ელფსბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:9 | 3 |
| ენკოპინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:6 | 1 |

# ასე არ შეიძლება, შვილო
## ეტყვიან რუნის პოლიციის ბავშვთა ოთახში

წინა შაბათს, მერსისადიული დერბისას, „ევერტონის“ ყმაწვილმა ფორვარდმა უეინ რუნიმ „გუდისონ პარკის“ იმ სექტორთან მიირბინა, სადაც „ლივერპულის“ ფანები ისხდნენ, ბლომად ნერწყვი დაიგროვა და ხალხის მიმართულებით გაისროლა. ამის გამო რუნი პოლიციაში დაიბარეს.



პოლიციის ხსენებაზე, მკითხველთა მოზრდილ ნაწილს უსიამოვნო გრძნობა გაუჩნდება, მაგრამ შეგიძლიათ მშვიდად იყოთ: ლივერპულის პოლიციაში რუნის არავინ ეტყვის, ბიჭო, შენ რამე ხომ არ გეშლება, შენი დედა... არც ფეხბურთელის სქელ ჯიბეს დაუწყებენ ყურებას მსუნაგი თვალებით და არც ხელების ქავილი აუტყდებათ. უბრალოდ, პოლიციაში მენეჯერთან ერთად მისულ 17 წლის ბიჭს ოფიცერი მამა-შვილურად დაარიგებს და ეტყვის: შვილო, ფეხბურთი ხომ იცი, როგორი თამაშია, ქომაგი შენ დაგცინებს, იმიტომ, რომ წონასწორობა დაგაკარგვინოს, შენ სისულელე ჩაიდინო და მისმა გუნდმა მოიგოს. შენ ნიჭიერი ბიჭი ხარ და ყველას უყვარხარ, რა ვუყოთ, თუ ყველა ფანი „ევერტონის“ მხარეს არაა. უნდა მოითმინო და არ შეაფურთხო.

პოლიციის ოფიცერი უეინ რუნის ნაღდად ასე ეტყვის. იქაური პოლიციის წარმომადგენელმა ლამის დედა დაიფიცა, მხოლოდ ამისთვის ვიბარებთ, ბრალდების წაყენება აზრადაც არ მოგვსვლიაო. „ევერტონშიც“ თქვეს, კმაყოფილები ვართ, ამ ინციდენტს სერიოზული შედეგები რომ არ მოჰყვებაო. ისე, თუ გახსოვთ, რუნის მწვრთნელმა დევიდ მოიესმა ერთხელ თქვა, ამ ბიჭს ჯერჯერობით ცოტა ხნით ვათამაშებ, ჯერ ყმაწვილია და არ გაფუჭდესო.

**კოტე კეკელია**

ასორტიმენტის საგაზაფხულო განახლება
ბილიარდები
პული, რუსული პირამიდა, სნუკერი




აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელება
სპეციალური ფასები ბილიარდის კლუბებისათვის
მაღაზია სალონი WWW.billiard.ge
ტელ: 95-57-75, ტ/ფ: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ (ყოფ. კამო) No:2

Copa Toyota Libertadores 2003

## ლიბერტადორესის თასი 2003

### 1/8 ფინალი. I მატჩი

**ოლიმპია (პარაგვაი) 2:3 გრემიო (ბრაზილია)**

0:1 კლაუდიომირო (19), 1:1 ე. ლოპესი (27), 2:1 მ. კაბალიერო (34), 2:2 ჟილბერტო (62), 2:3 ლუის მარიო (65)

სიახლე საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის,
ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

# ჩვენ მხოლოდ კოკა-კოლა დავლიეთ
## ფერნანდესი რონალდინიოს და ფაიდს უარყოფს



„პარი სენ ჟერმენის“ მწვრთნელი, ლუის ფერნანდესი ჭორებს აბათილებს, რონალდინიოსთან კონფლიქტი არ მომსვლიაო. საქმე ის გახლავთ, რომ „ნანტთან“ თამაშში 22 წლის ბრაზილიელი (1:1) ფერნანდესმა საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე შეცვალა, რამაც თავდამსხმელი გააოცა და უკმაყოფილო დასტოვა.

„რასაკვირველია, რონალდინიო „ბორდოს“ წინააღმდეგ ითამაშებს. არ მესმის, რატომ არ უნდა ვათამაშო. შაბათს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გამოვცვალე, რომ „ბორდოსთან“ შეხვედრის წინ არ დაშავებულიყო. ის ძალიან გაბრაზდა, გვითხრა, რომ სულაც არ იყო დაღლილი, მაგრამ შეხლა-შემოხლა არ მოგვსვლია. იგი კონფლიქტური ადამიანი არ არის“ — განაცხადა ფერნანდესმა.

პრესაში კი წერენ და წერენ, რომ სეზონის ბოლოს ბრაზილიელი პარიზიდან წავა. მისი შეძენით „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ინტერის“ ჩათვლით ბევრი დიდი კლუბია დაინტერესებული.

რაც შეეხება ფერნანდესს, მან უკვე განაცხადა ოფიციალურად, რომ მომავალი სეზონიდან სხვაგან იმუშავებს, ყველაზე მეტად კი გული ისევ ესპანეთისკენ მიუწევს, სადაც 1996-2000 წლებში ბილბაოს „ატლეტიკს“ ედგა სათავეში.

თუმცა, სამშაბათს, გაზეთი „ეკიპი“ წერდა: „ინგლისური „ფულემის“ მეპატრონე მუჰამედ ალ ფაიდი ფერნანდესს სასტუმრო „რიცში“ შეხვდა“.

ამაზე ფერნანდესმა მიუგო: „იქნებ „კოკა კოლა“ დავლიეთ და მეტი არაფერი?“

ერთი კვირის წინ „ფულემი“ მისმა ბოლო თავკაცმა, ჟან ტიგანამ დატოვა. ადრე ისე იყო გამოცხადებული, რომ ტიგანა სეზონის დამთავრების მერე უნდა წასულიყო, მაგრამ, აბა, ხომ ხედავთ, ინგლისში ჩემპიონატის დასრულებამდე აღარაფერია დარჩენილი.

**პაპუნა ძიძია**

# GO დიეგუ





ხალხმა დიეგუ ისურვა და მარიო ზაგალო და კარლოს ალბერტო პარეირაც დაყაბულდნენ

**30 აპრილს** ბრაზილიის ნაკრები გვადალახარაში, ამხანაგურად გაეჯიბრება მექსიკას. იმ დღეს ქართველ ქომაგს ბრაზილიისთვის არ ეცლება, თუმცა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთა ამბავი ყოველთვის საინტერესოა.

კარლოს ალბერტო პარეირამ, ბრაზილიელთა მწვრთნელმა, წინა კვირაში სამექსიკოდ 16 ფეხბურთელი გამოიძახა — თექვსმეტივე ევროპაში მოთამაშე და ხალხს დაპირდა, დანარჩენებს სამშობლოში მოთამაშეთაგან შევარჩევ და მათ ვინაობას გაცნობებთო, რაც გუშინ გააკეთა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პარეირას უკვე ბლომად კრიტიკოსი გამოუჩნდა, აქაოდა, ბრაზილიაშიც მაგარი ბიჭები თამაშობენ და რატომ არ იყენებო. კრიტიკოსებს ის ფაქტიც უმაგრებთ ზურგს, რომ პარეირას ჯერ ერთი თამაშიც ვერ მოუგია — ჩინელებთან ფრედ ითამაშა, პორტუგალიასთან კი დამარცხდა. კრიტიკოსები მწვრთნელისგან განსაკუთრებით სანტოსელების, რობინიოსა და დიეგუს გამოძახებას ითხოვენ.

ამ ყმაწვილ ფეხბურთელებზე ბრაზილიის შარშანდელი ჩემპიონატის მიმოხილვებში გამუდმებით გვიხდებოდა წერა, რაკი „სანტოსის“ გაჩემპიონება სწორედ მათი დამსახურება გახლდათ.

ახლა, როცა პარეირამ ნაკრების სრული შემადგენლობა გამოაცხადა, კრიტიკოსთა სურვილი სანახევროდ გაითვალისწინა: დიეგუ გამოიძახა, რობინიო კი დატოვა.

**გიორგი დარჯანია**

### 30 აპრილი. მექსიკა — ბრაზილია

## ბრაზილია

მეკარე: დიდა (მილანი, იტალია), მარკოსი (პალმეირასი);

მცველები: ედმილსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჟუანი (ლევერკუზენი, გერმანია), კაფუ (რომა, იტალია), ბელეტი (ვილიარეალი, ესპანეთი), ჟუნიორი (პარმა, იტალია), ლუიზაო (კრუზეირო), ანდერსონ პოლგა (გრემიო);

ნახევარმცველები: ჟუნინიო პერნამბუკანო (ლიონი, საფრანგეთი), ემერსონი (რომა, იტალია), ფლავიო კონსეისაო (რეალი, ესპანეთი), ჟილბერტო სილვა (არსენალი, ინგლისი), ზე რობერტო (ბაიერნი, გერმანია), რონალდინიო (პსჟ, საფრანგეთი), ათირსონი (ფლამენგო), დიეგუ (სანტოსი), კლებერსონი (ატლეტიკო პარანენსე);

თავდამსხმელები: რონალდო (რეალი, ესპანეთი), რივალდო (მილანი, იტალია), ადრიანო (პარმა, იტალია), ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია)

# მაკაიმ ფეხი ოქროს ბუცს მოაზომა



**გალისიური** „დეპორტივოს“ პრეზიდენტს, სენიორ ლენდოიროს ფრიადი თავის მტვრევა მოუწევს რათა „დეპორის“ წამყვანი ვარსკვლავი, ჰოლანდიელი როი მაკაი შეინარჩუნოს. საქმე ისაა, რომ თუ ეს თავდამსხმელი ამ სეზონში პრესტიჟულ „ოქროს ბუცს“ მიიღებს, ბობოლა კლუბთა უმეტესობა ხარბად დაიწყებს ნადირობას ლაკორუნიელთა ნიდერლანდელ იმედზე. მაკაი „სევილიასთან“ გატანილი ორი გოლის წყალობით, რომლებიც უკვე მის მრავალრიცხოვან მარაგს შეემატა, ეგზომ საყურადღებო ტურნირის თაოსნობას იტალიელ კრისტიან ვიერისთან ერთად ინაწილებს. ორივე ფეხბურთელმა თავ-თავიანთ ჩემპიონატებში 24 გოლის გატანა შესძლეს, რაც თითოეულს 48 ქულას ანიჭებს. ჰოლანდიელისა და იტალიელის ღირსეულ მეტოქეებიდან უნდა აღვნიშნოთ ინგლისელი ჯეიმს ბიტი „საუთჰემპტონიდან“ და ფრანგი ტიერი ანრი „არსენალიდან“. ამ უკანასკნელთა ანგარიშზე 22-22 გოლია, რაც 44 ქულას ნიშნავს.

თუ მაკაიმ ბრჭყვიალა ჩექმაზე მონადირე ამ კეთილშობილ რაინდთა შეჯიბრში გაიმარჯვა, რონალდოს შემდეგ პირველი პრიმერადივიზიონელი იქნება, ვინც „ოქროს ბუცს“ მოიპოვებს. ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ეს ტიტული 1996-97 წლების სეზონში მოიგო, ოდეს „ბარსელონას“ რიგებს იცავდა და მეტოქეთათვის 34 გოლით შეძლო „სიამოვნების მინიჭება“.

მაკაის წინ 8 მატჩი რჩება, რათა დღემდე მიღწეული შედეგი გააუმჯობესოს, მეტოქეთა ბანაკში კი საქმე შედარებით რთულადაა. ვიერის საპატიო ჯილდოს ხელში ჩასაგდებად ხუთი, ხოლო ბიტსა და ტიერი ანრის სამ-სამი მატჩი რჩებათ სერია A-სა და პრემიერლიგაში.

**ლადო ხომერიკი**

# მე რაღაცა მაქვსო
## ნუმამ ინსტრუმენტალური ანსამბლი საჯაროდ შეათამაშა

ნებისმიერი სტამბოლური დერბი თურქი ქომაგების ტვინში სამუდამოდ ილექება. „ბეშიქთაშის“, „გალათასარაისა“ და „ფენერბაჰჩეს“ შორის მატჩები, როგორც წესი, დაძაბულობით გამოირჩევა. ამჯერადაც ასე იყო, გასულ ტურში, „ბეშიქთაში“ „ფენერბაჰჩეს“ შეხვდა და 2:0 მოუგო. ეს შეხვედრაც გამორჩეული იყო, მაგრამ როცა გულშემატკივრები ამ მატჩს გაიხსენებენ, ფეხბურთი კი არა, ალბათ უპირველესად პასკალ ნუმას მარცხენა ხელი დაუდგებაც თვალწინ, რომელიც ფეხბურთელისვე ტრუსში ნებივრობდა.

„ბეშიქთაშის“ ფრანგმა ლეგიონერმა ანგარიში მერვე წუთზე გახსნა, მაისურა გაიძრო, მოედნის კიდესთან მივიდა, მარცხენა ხელი ტრუსში ჩაიყო და ტრიბუნებზე მსხდომთ ისეთი თვალებით უყურებდა, თითქოს ეკითხებოდა, აბა, გამოიცანით, ხელში რა მიჭირავსო.

ცხადია, „ბეშიქთაშის“ ქომაგებმა გაიცინეს, „ფენერბაჰჩეს“ დამქაშებმა იფურთხეს და ნუმა ლანძღეს, მაგრამ ფრანგს მთავარი წინ ელოდა.

მატჩის შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა სერდარ ბილგილიმ ფეხბურთელთან კონტრაქტი ცალმხრივად გაწყვიტა. „მისი საქციელი თურქი ხალხისა და გულშემატკივრების შეურაცხყოფაა. გოლის გატანით გამოწვეული სიხარულის აღნიშვნის ბევრი ხერხი მინახავს, მაგრამ ეს ზეიმი კი არა, ტუტუცური რიტუალი იყო. ასეთ კაცს გუნდში ვერ გავაჩერებ.“ ამ სიტყვების შემდეგ პრეზიდენტი და მისი თანმხლებნი პასკალ ნუმას ესტუმრნენ. თვითმფრინავის ბილეთი (სტამბოლი — კანი) მიართვეს, მადლობა გადაუხადეს და დაემშვიდობნენ.

საინტერესოა ერთი ფაქტიც, კონტრაქტის ერთ-ერთ პუნქტში გარკვევით ეწერა, რომ თუ პასკალ ნუმა უღირსად მოიქცეოდა, კლუბს კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის უფლება ჰქონდა. ფრანგი ლეგიონერი „ბეშიქთაშის“ ფანების ჯილა იყო. 2000-01 წლებში გუნდში მისულ მოთამაშეს კრისტოფ დაუმი დაუხვდა და გერმანელთან გამუდმებით კამათი ჰქონდა. ხან მობილური ტელეფონით ვარჯიშობდა, ხან თანაგუნდელებს მუშტებს უქნევდა, ერთხელ ჟურნალისტიც შემოელახა. ამის გამო იგი სამშობლოში გააგზავნეს, შორს შაროო, იფიქრეს თურქებმა და მარსელის „ოლიმპიკს“ გადაულოცეს. მიუხედავად ამისა, „ბეშიქთაშის“ ქომაგებმა კლუბის ბოსებს მისი დაბრუნება მოსთხოვეს და მიიღეს კიდეც.



პასკალ ნუმამ მამაკაცური ღირსება შეიმოწმა, ადგილზეა თუ არაო

პასკალ ნუმა სერდარ ბილგილის გადაწყვეტილებით გაოგნებული იყო: „მე ვინმეს შეურაცხყოფა აზრადაც არ მომსვლია. ერთი თვის მანძილზე გოლი არ გამიტანია და სიხარული ასე გამოვხატე. თუ უნებლიედ თურქ ხალხს შეურაცხყოფა მივაყენე, ბოდიშს ვუხდი.“ აღსარების მიუხედავად, ნუმა გუნდიდან მოკვეთეს. სერდარ ბილგილიმ ფეხბურთელები შეკრიბა და გააფრთხილა, ტრუსებში ხელის ჩაყოფა ვარჯიშზეც კი არ გაბედოთო.

„ბეშიქთაშის“ მეკარემ ოსკარ კორდობამ გაიკვირვა, მერე რა მოხდა, თავის ტრუსში ჩაიყო ხელი, სხვისაში ხომ არაო.

**რომან თურქია**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



# სამი ამბავი გერმანიიდან

*მიმდინარე ბუნდესლიგის ჩამთავრებას ხუთი ტური აკლია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, მიუნხენის „ბაიერნი" მეთვრამეტედ გაჩემპიონდება. არის სხვა მეტნაკლებად საინტერესო ამბებიც, რომელიც ბაიერნულისას მივაბით.*

## რა კარგია ქონი და სასალათე

„ბაიერნი" რომ გერმანიის პროფესიულ საფეხბურთო ლიგაზეა (DFL) ნაწყენი, გასახსენებლად აღარც ღირს. ჰოდა, DFL-მაც ახლა თავისებურად მოუქონა თავი გერმანიის ყველაზე სახელიან და მდიდარ კლუბს.

საქმის არსი ასეთია — ამ ბუნდესლიგაში თავის ბოლო საშინაო მატჩს „ბაიერნი" 17 მაისს გამართავს „შტუტგარტთან" და DFL-ის გადაწყვეტილებით, ჩემპიონობისთვის განკუთვნილი ბუნდესსასალათეც უკვე იქ „ოლიმპიაშტადიონზე" იქნება. არადა, მანამდე ისეთი წესი იყო, რომ ბოლო ტურამდე ჩემპიონქმნილ გუნდს პრიზს არავინ აღირსებდა, გინდ რამდენიმე ტურით ადრე გამხდარიყო ჩემპიონი.

17 მაისის „ბაიერნ" — „შტუტგარტის" თამაშზე უკვე ყველა, 63 000 ბილეთია გაყიდული. იმავ დღეს მიუნხენში „ბაიერნის" ჩემპიონობის აღსანიშნავი ზეიმიცაა დაგეგმილი.

თუმც, შესაძლოა, ბავარიელებმა ჩემპიონობა ამ უქმეებზეც დაიბევონ, თუ „ბაიერნი" გასვლაზე „ვოლფსბურგს" მოუგებს, ხოლო მისი უახლოესი მდევარი „შტუტგარტი" როსტოკში „ჰანზასთან" ვერ გაიმარჯვებს და მესამეადგილოსანი „დორტმუნდი" მიუნხენში „1860"-თან. „ბაიერნი" „შტუტგარტს" და „დორტმუნდს", შესაბამისად, 11-12 ქულით უსწრებს.



რაინერ კალმუნდმა უდო ლატეკზე უარი თქვა

## უდო, შე ბებერო

ამასობაში ლევერკუზენის „ბაიერნმა" უარი თქვა ისეთ გამოცდილ და სახელგანთქმულ სპეციალისტზე, უდო ლატეკი რომ გახლავთ.

„ლევერკუზენის" კომერციულმა მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა ბრძანა, ლატეკი არ დავიქირავეთ და ეს ჯერ კიდევ წინა ტურის „ლევერკუზენ" — „შალკეს" მატჩამდე გადაწყდაო. კალმუნდმა ისიც თქვა, 68 წლის ლატეკი არც კონსულტანტად გვჭირდებაო.

ჩათქვირულმა მენეჯერმა განმარტა, რომ თომას ჰიორსტერი სეზონის ბოლომდე დამოძღვრავს გუნდს, მას ახალი სპორტული დირექტორი იურგენ კოლერი შეეშველება და, რომ ამ ეტაპზე გუნდს სხვა არავნ სჭირდება.

ლატეკზე ლაპარაკი კი მაშინ ატყდა, როცა გასულ უქმეებზე „ლევერკუზენმა" „შალკესთან" 1:3 წააგო და კალმუნდმა თავის გუნდის თამაშზე თქვა, რეგიონული ლიგის დონეაო — შეგახსენებთ, „ლევერკუზენი" ბოლოდან მესამე ადგილზეა და თუ ერთი საფეხბურით მაინც ვერ აინაცვლა, მეორე ბუნდესლიგაში ჩაინაცვლებს.

## ჩამოწერილი საქონელი ქვირდება

„ლევერკუზენს" ექვსი ქულით უსწრებს „ჰანოვერ 96" და ჰანოვერელებსაც სამშვიდობოს ჰგონიათ თავი.

ჰანოვერში ნომერ პირველი კაცი ახლა 31 წლის ფრედი ბობიჩია. ამ ფორვარდმა მანამდე ინგლისური პრემიერლიგა „ბოლტონში" დააჭაშნიკა, ხოლო საფეხბურთო ბასტიონზე პირველად დორტმუნდულ „ბორუსიაში" თამაშით გაბრწყინდა.

მაგრამ, როცა „დორტმუნდმა" წინა სეზონში ის იჯარით დაუთმო „ბოლტონს", ბობიჩი ყველამ ჩამოწერა მაღალი დონის ფორვარდთა სიიდან.

ახლა კი, მიმდინარე ბუნდესლიგაში ბობიჩს 14 გოლი დაპგროვებია და ბუნდესნაკრებშიც სისტემატურად იწვევენ.

ჰოდა, „ჰანოვერის" პრეზიდენტმა მარტინ კინდმა საქვეყნოდ განაცხადა, უბობიჩოდ შავ დღეში აღმოვჩნდებით და მასთან კონტრაქტის გაგრძელება ძალიან გვინდაო. „კარგი შანსი გვაქვს, ბობიჩის დასაყოლიებლად" — დაუმატა ნათქვამს კინდმა.

პრეზიდენტი ამ უქმეებისთვის აპირებს ბობიჩთან საგანგებო შეხვედრას. თავად შემტევის სიტყვა კი ასეთია: „მსურს, გადაწყვეტილება მშვიდად მივიღო. ამ მომენტისთვის კონცენტრირებული იმაზე ვარ, რომ „ჰანოვერმა" ბუნდესლიგაში უსაფრთხოდ იგრძნოს თავი. არ მინდა პოკერი ვითამაშო და ჩემს მომავალზე პირველ რიგში „ჰანოვერთან" დავილაპარაკებ, მაგრამ ალბათ სხვა კლუბებთანაც გავარჩევ ვარიანტებს".

**დავით თავართქილაძე**



ფრედი ბობიჩი




| I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 849 | 15 | 14 | ირლანდია | 698 |
| 2 | 2 | ესპანეთი | 785 | 16 | 16 | ბელგია | 682 |
| 3 | 3 | საფრანგეთი | 782 | 17 | 17 | კამერუნი | 673 |
| 4 | 5 | გერმანია | 755 | 18 | 21 | კოსტა-რიკა | 672 |
| 5 | 6 | ჰოლანდია | 752 | 19 | 18 | პარაგვაი | 670 |
| 6 | 4 | არგენტინა | 750 | 20 | 23 | შვედეთი | 662 |
| 7 | 9 | ინგლისი | 742 | | | | |
| 8 | 7 | თურქეთი | 728 | 24 | 22 | რუსეთი | 648 |
| 9 | 8 | მექსიკა | 724 | | | | |
| 10 | 10 | აშშ | 719 | 43 | 41 | შვეიცარია | 588 |
| 11 | 11 | დანია | 715 | | | | |
| 12 | 12 | პორტუგალია | 709 | 88 | 101 | ალბანეთი | 458 |
| 13 | 15 | ჩეხეთი | 705 | | | | |
| 14 | 13 | იტალია | 702 | 93 | 93 | საქართველო | 448 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში;
III – ქვეყანა; IV – ქულა

## თავს ზევით ერაყიცაა

ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში საქართველო, რა ხანია, მეცხრე ათეულში ჩავარდა. ასე იყო შარშან შემოდგომაზე, ასეა ახლაც. ერაყი რომ ერაყია, ისიც ჩვენზე გვარიანად წინაა, მთელი 39 საფეხურით გვისწრებს. სხვათა შორის, შარშან დეკემბერში 93-ე ალბანეთი იყო, შესარჩევ ჯგუფში საქართველოს მეტოქე, რომელიც მერე 101-ე ადგილამდე დაეშვა, რუსთა ძლევისა და ირლანდიასთან ფრის წყალობით კი ხუთი საფეხურით გადაგვისწრო.

იტყვიან, ეგ რეიტინგები მთლად სანდო არ არის, ეშმაკმა უწყის, როგორ წერენ ქულებსო და საერთოდაც რა მნიშვნელობა აქვსო. გადამწყვეტი მნიშვნელობა მართლაც არ აქვს, მაგრამ არც მთლად უმნიშვნელოა: ახალი შესარჩევი ციკლი რომ იწყება და განთესვისას საქართველოს ბოლო კალათაში უკრავენ თავს, სწორედ მაშინ აქვს.

რეიტინგში საქართველოს ქვევით კიდევ 111 ქვეყანაა, მაგრამ რა სან ტომესა და კაიკოსის კუნძულებს შევედაროთ? იქნებ, სენტ კიტსა და ნევისს? ევროპელთაგან საქართველოზე ქვევით მხოლოდ ლიტვა, სომხეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, სან მარინო და ანდორა არიან.

რეიტინგის თავში კი სიმშვიდეა. პირველი ისევ ბრაზილია.

**გიორგი დარჯანია**

## ამხანაგური მატჩები

### 30 აპრილი: ირლანდია – ნორვეგია

#### ნორვეგია

*მეკარეები: ერიკ ჰოლტანი (ოდ გრენლანდი), ესპენ იონსენი (რუსენბორგი), ფროდე ოლსენი (ვიკინგი);*

*მცველები: კრისტერ ბასმა (რუსენბორგი), ჰენინგ ბერგი (ბლექბერნი, ინგლისი), ანდრე ბერგდოლმო (აიაქსი, ჰოლანდია), რონი იონსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), ტორიუს ჰანსენი (არმინია, გერმანია), კლაუს ლუნდეკვამი (საუთჰემპტონი, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: ტრონდ ანდერსენი (უიმბლდონი, ინგლისი), ერიკ ბაკე (ლიდსი, ინგლისი), ტომი-სვინდალ ლარსენი (ნიურნბერგი, გერმანია), ოივინდ ლეონარდსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), იონ არნე რიისე (ლივერპული, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: იონ კარეუ (ვალენსია, ესპანეთი), ტორე ანდრე ფლო (სანდერლენდი, ინგლისი), ოლე გუნარ სოლსკიაერი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), სიგურდ რუშფელდტი (აუსტრია, ავსტრია)*

### 30 აპრილი: ჩეხეთი – თურქეთი

#### ჩეხეთი

*მეკარეები: იარომირ ბლაჟეკი (სპარტა), პეტერ ჩეხი (რენი, საფრანგეთი);*

*მცველები: რენე ბოლფი (ბანიკი), მილან ფუკალი, ტომაშ უიფალუში (ორივე ჰამბურგი, გერმანია), ზდენეკ გრიგერა, ტომაშ ჰუბშმანი (ორივე სპარტა), მარეკ იანკულოვსკი (უდინეზე, იტალია);*

*ნახევარმცველები: პატრიკ გედეონი, სტეფან ვახოუშეკი (ორივე სლავია), პაველ ნედვედი (იუვენტუსი, იტალია), კარელ პობორსკი (სპარტა), ტომაშ როსიცკი (დორტმუნდი, გერმანია), ვლადიმირ შმიცერი (ლივერპული, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: მილან ბაროში (ლივერპული, ინგლისი), იან კოლერი (დორტმუნდი, გერმანია), ვრატისლავ ლოკვენცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ირჟი სტაინერი (ჰანოვერი, გერმანია)*

### 30 აპრილი: შოტლანდია – ავსტრია

#### შოტლანდია

*მეკარეები: ნილ ალექსანდერი (კარდიფი, უელსი), რობერტ დუგლასი (სელტიკი), პოლ გალაჰერი (დანდი იუნაიტედი);*

*მცველები: გრემ ალექსანდერი (პრესტონი, ინგლისი), კრისტიან დეილი (ვესტ ჰემი, ინგლისი), რობერტ მალკოლმი (რეინჯერსი), სტივენ პრესლი (ჰართსი), ენდი ვებსტერი (ჰართსი), ლი უილკი (დანდი);*

*ნახევარმცველები: კრეიგ ბარლი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), კოლინ კამერონი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), სკოტ ჯემილი (ევერტონი, ინგლისი), პოლ დევლინი (ბირმინგემი, ინგლისი), პოლ ლამბერტი (სელტიკი), გარი ნეისმუთი (ევერტონი, ინგლისი), ჯეიმი სმიტი (სელტიკი);*

*თავდამსხმელები: სტივ კროუფორდი (დანფერმლაინი), დონ ჰაჩისონი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ჯეიმს მაკფადენი (მოზერუელი), კენი მილერი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), სტივენ ტომპსონი (რეინჯერსი)*

### ფეხბურთის რუკასთან



**რუმინეთის** ნაკრების ყოფილი მცველი დან პეტრესკუ ზაფხულში საფეხბურთო კარიერას დაასრულებს. „ეს გადაწყვეტილება ოდესლაც უნდა მიმეღო, მაგრამ ფეხბურთიდან არ მივდივარ, მსურს, მწვრთნელობას მოვკიდო ხელი" — აცხადებს „სტიაუას", „ფოჯას", „ჯენოას", „შეფილდ უენსდის" და ლონდონური „ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელი. დან პეტრესკუ ახლა ბუქარესტის „ნაციონალის" ღირსებას იცავს.

**ფრანგულ გაზეთ LE PARISIEN-ის ცნობით, „ოსერის" ნახევარმცველი ოლივიე კაპო ახალი სეზონიდან „მანჩესტერ იუნაიტედში" ითამაშებს. ორივე კლუბმა ტრანსფერის თაობაზე დეტალები უკვე შეათანხმა, ახლა მხოლოდ ფეხბურთელმა უნდა გადახედოს პირად კონტრაქტს. ოლივიე კაპოს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, „იუნაიტედმა" იგი მეორე ინგლისურ გრანდს, ლონდონის „არსენალს" ასწაპნა.**

**ბრაზილიური** „კორინთიანსის" 29 წლის მცველი ფაბიო ლუსიანო ახალი სეზონიდან იტალიური „რომას" ღირსებას დაიცავს. ლუსიანო ფაბიო კაპელოს გუნდში თანამემამულე ალდაირს შეცვლის. მასზე დიდ იმედებს ამყარებს ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირაც.

**ნიგერიელ ფორვარდ ჯულიუს აგაოვათი ინგლისური „ბოლტონი" კვლავაც დაინტერესდა. აგაოვა დონეცკის „შახტარის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და ინგლისური კლუბების უმეტესობაც, ძირითადად კი „ბოლტონი", ჯერ კიდევ შარშან ცდილობდა მის გადაბირებას. მაშინ უკრაინული კლუბის პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა ყველა მთხოვნელი სასტიკი უარით გაისტუმრა, ახლა კი მისი პოზიცია უცნობია.**

**ინგლისური** „არსენალი" კვლავაც კვალიფიციური მეკარის ძიებაშია. „მეთოფეებმა" ვეტერან დევიდ სიმენის შემცვლელად ვინ აღარ შეიგულეს, თუმც რეალურად ვერავინ გადაიბირეს. ახლა „არსენალის" სკაუტთა თვალთახედვის არეში მხოლოდ ორი გოლკიპერია — თომას სორენსენი და რუშთუ რექბერი. პირველი ეროვნებით დანიელია და ინგლისშივე „სანდერლენდში" თამაშობს, არის აგრეთვე დანიის ეროვნული გუნდის წევრი. მეორე, რუშთუც, ნაკრების მეკარეა, მან ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდებულად დაიცვა თურქეთის ეროვნული გუნდის კარი. ახლა სტამბოლის „ფენერბაჰჩეს" ღირსებას იცავს. ამრიგად, სორენსენი და რუშთუ — რომელი გახდება არსენ ვენგერის და „არსენალის" რჩეული, ზაფხულში შევიტყობთ.

**უკრაინელი მცველის, 34 წლის ოლეგ ლუჟნის აგენტი შანდორ ვარგა აცხადებს, რომ მის კლიენტს თვალი „ნიუკასლის" მწვრთნელმა ბობი რობსონმა დაადგა. „თუ „არსენალმა" მას ახალი კონტრაქტი არ შესთავაზა, ზაფხულიდან ოლეგი „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" გადაბარგდება. ბობი რობსონს ლუჟნის თავის გუნდში ხილვა ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე სურდა" — აცხადებს შანდორ ვარგა.**

**იტალიურმა** „მილანმა" გუშინწინ ოფიციალურად განაცხადა, 2003-2004 წლების სეზონში „როსონერის" კვლავაც სამი მეკარე ეყოლება და ესენი ნელსონ დიდა, კრისტიან აბიატი და ვალერიო ფიორი იქნებიანო. მოგეხსენებათ, ეს სამეული „მილანის" ღირსებას ახლაც იცავს. ასე რომ, ზაფხულიდან „შავ-წითლებში" ახალი მეკარის გამოჩენას არ უნდა ველოდოთ. არადა, ამბობდნენ, გუნდში კარლო კუდიჩინი, ოლივერ კანი, მატეო სერენი, ანაც ფაბიენ ბარტეზი გამოჩნდებაო.



გივი დიდავა



მეჰმეთ ოზდილეკი

# ქოჯაელში ახალ ხოჯას ელიან

## ქართველებს შიფოს უმზადებენ

**გასულ ტურში** „გაზიანთეფთან“ შინ დამარცხებული „ქოჯაელისფორის“ მთავარი მწვრთნელი გადადგა. გიუვენჩ ქურთარი მომდევნო ტურში, „დენიზლისფორთან“ შეხვედრის შემდეგ აპირებდა წასვლას, მაგრამ კლუბის პრეზიდენტს მიჰყვა. პრეზიდენტმა ჰიქმეთ ერენკაიმ პოსტი „გაზიანთეფთან“ წაგებისთანავე მიატოვა. ივნისში კლუბის პრეზიდენტის არჩევნებია დაგეგმილი, მაგრამ ერენკაი მას აღარ დაელოდა, რადგან ქომაგებისგან ლანძღვა-გინება ყელში ამოუვიდა. მიუხედავად ამისა, იგი სიმბოლურად ივნისამდე პრეზიდენტად დარჩება.

გიუვენჩ ქურთარმა თქვა, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, თუმც გუნდი ცხრილის ფსკერიდან ვერ დავძარი და ამიტომაც მივდივარო. ჯერჯერობით „ქოჯაელის“ მომავალი მატჩისთვის კაპიტანი, ნური მოამზადებს. რაც შეეხება ქურთარის შემცვლელს, „ქოჯაელის“ დირექტორატის წევრები „ბეშიქთაშის“ ყოფილ მოთამაშეს, მეჰმეთ ოზდილეკს შეეხმიანნენ, ეგებ სეზონის ბოლომდე გუნდს უთავკაცოო. მეჰმეთ ოზდილეკი, იგივე „შიფო“ მეჰმეთი, როგორც მას თურქეთში შეარქვეს, საკმაოდ კარგი მოთამაშე კი იყო, მაგრამ მწვრთნელობისა რა მოგახსენოთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვენსტპილსი კორღალიძეს გასამმბას არ ანებებს

**როგორც ჩანს,** რიგის „სკონტოს“ საჩემპიონო ჰეგემონიას წერტილი წლეულს დაესმება. ყოველ შემთხვევაში, ლატვიელი ჟურნალისტები სეზონის ბოლოს საჩემპიონო ტახტზე ასვლას უფრო „ვენსტპილსს“ უწინასწარმეტყველებენ. არადა, იქამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა.

ლატვიის ჩემპიონატის საწყისი სამი ტური მუდმივ ჩემპიონ დედაქალაქელთათვის არასასურველად ჩატარდა. ლევან კორღალიძის „სკონტო“ ხუთი ქულის ამარაა მაშინ, როცა „ვენსტპილსმა“ სამივე თამაშის მოგება შეძლო.

ოთხქულიანი სხვაობა გუშინწინდელი ტურის შემდეგ დაფიქსირდა. სკონტოელთა მთავარმა მოქიშპემ „დინაბურგს“ სტუმრად 2:0 სძლია. ამასობაში კი ალექსანდრ სტარკოვის გუნდმა ვერაფერი მოუხერხა შინ თანაქალაქელ „რიგას“. ეს შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა. ლევან კორღალიძე 62-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე ბუიტკუსის ნაცვლად, თუმც თავის გუნდს მოგებაში ვერ დაეხმარა.

უნდა ითქვას, რომ „სკონტოს“ ქართველი ნახევარმცველი ახალდაწყებულ ჩემპიონატში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. მან სამივე ტურში ითამაშა, მაგრამ ოდენ შეცვლებზე.

შეგახსენებთ, რომ ლევან კორღალიძემ, რომელიც ლატვიის ჩემპიონატში სავარაუდოდ ბოლო სეზონს ატარებს, „სკონტოს“ ირლანდიურ საწვრთნელ შეკრებაზე ფეხი დაიშავა და რამდენიმე დღე გაუცდა.

ასე რომ, ლატვიის ტრიუმფით დატოვების მოსურნე ჩვენებურს გვარიანი ბრძოლა მოუწევს — „ვენსტპილსს“ კარგად ახსოვს, როგორ დაკარგა ბოლო ორი ჩემპიონატის ბოლო ტურებში ჩემპიონობა და ახლა იგივე შეცდომის დაშვებას არ აპირებს.

**ქახა ზალამბერიძე**

# შვეიცარია იტალიამდე გაიქარა

## იაკობ კუნი საქართველომ დააკმაყოფილა

**30 აპრილი** მსოფლიოში სანაკრებო ამხანაგობის დღეა.

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მეათე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე შვეიცარია იტალიას გაეჯიბრება.

„სკუადრა აძურას“ თავკაც ჯოვანი ტრაპატონის თქმით, შვეიცარიელებთან თამაში მის გუნდს სამომავლოდ ერთობ წაადგება: „ნაკრების კანდიდატებს ვაკვირდები და 30 აპრილის მატჩისთვის გამოსაძახებელ ფეხბურთელებს მალე შევარჩევ. მეტოქე საკმაოდ ძლიერია, თუმც ჩვენი მიზანი უფრო ოფიციალური მატჩებისთვის კარგად მომზადებაა“.

სამაგიეროდ შვეიცარიელებმა უკვე შეკრიბეს ნაკრების კანდიდატები. ძირეული ცვლილებები გუნდში არ მომხდარა. იაკობ კუნი კმაყოფილი დარჩა საქართველოსთან 2 აპრილს თბილისში ნათამაშები უგოლო ფრით და, ცხადია, ამ შესარჩევ ციკლში დაუმარცხებელ შემადგენლობას ჯერ არ ცვლის.

**ქახა ზალამბერიძე**

*მეკარეები:* *ფაბრის ბორერი (გრასჰოპერი), იორგ შტილი (მიონხენგლადბახი, გერმანია), პასკალ ცუბერბიულერი (ბაზელი);*

*მცველები:* *ბერნტ ჰაასი (ბაზელი), რემო მაიერი (მიუნხენი, გერმანია), პატრიკ მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), მურატ იაკინი (ბაზელი), ბრუნო ბერნერი (ფრაიბურგი, გერმანია), ლუდოვიკ მანინი (ვერდერი, გერმანია), მარკო ცვისიგი (ბაზელი);*

*ნახევარმცველები:* *რიკარდო კაბანასი (გრასჰოპერი), ფაბიო სელესტინი (მარსელი, საფრანგეთი), იოჰან ფოგელი (პსვ ენდჰოვენი, ჰოლანდია), ჰაკან იაკინი (ბაზელი), მარიო კანტალუპი (ბაზელი), კრისტოფ შპიხერი (გრასჰოპერი);*

*თავდამსხმელები:* *შტეფან შაპუიზა (იანგ ბოისი), ალექსანდრ ფრეი (რენი, საფრანგეთი), ლეონარ ტურე (სერვეტი, შვეიცარია)*

საქართველოს უმაღლესი ლიგა 14 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 5 ტური

## I–VI ადგილები

ბოლნისი. 23 აპრილი. 16 საათი. თემურ სტეფანია. 2 000 (ტევადობა 3 000)

### სიონი 1:2 დინამო

1:0 ირემაშვილი (37), 1:1 ბურდული (39), 1:2 დარასელია (77)

**სიონი:** ვოლკოვი, ხუჯაძე, ა. ბურნაძე, ირემაშვილი, ფანჩულიძე, გოგიტაძე, ბაქრაძე (სვანიძე 46), დაუშვილი (გ. გვასალია 80), გაბისკირია, კოშკაძე, წიგწივაძე
სათადარიგონი: ბათიაშვილი, დათვაძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**დინამო:** გვარამაძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოსი (ახალაია 72), გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, კვირკველია, დარასელია (სახვაძე 89), ბურდული (კანდელაკი 80), ალექსიძე
სათადარიგონი: ზოიძე, ი. სამხარაძე, ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**მსაჯები:** ა. მესხი (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ა. შალამბერიძე (სამივე ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** დ. გოგია

ჯარიმა: 8-7; კუთხური: 7-15; კარისკენ დარტყმა: 6-2; კარში დარტყმა: 6-8; თამაშგარე: 2-5

# სიონის უეფა დინამოა, ტორპედო — საკბილო

**კობა ინასარიძე ბოლნისიდან**

**საქართველოს** ათგზის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა სამი წლის წინ დაკარგული ტიტულის დასაბრუნებლად. თბილისელები ამჯერად ბოლნისიდან დაბრუნდნენ სამი ქულით, ქალაქიდან, სადაც მათმა უმთავრესმა კონკურენტებმა, „ლოკომოტივმა“ და „ტორპედომ“ მარცხი იწვნიეს. მეორე ეტაპზე „სიონისთვის“ ეს მეოთხე საშინაო მატჩი გახლდათ, მატჩი ჩემპიონატის ფავორიტთან. „დინამომდე“ ბოლნისში მინიმალური სხვაობით გამარჯვება მხოლოდ „ვიტ ჯორჯიას“ მოეხერხებინა, ესეც პირველსავე ტურში, დანარჩენ ორს კი „სიონმა“ ერთნაირი ანგარიშით, 2:1 აჯობა. ერთი გასვლითი შეხვედრა ბოლნისელებმა ფოთში გამართეს და იქიდანაც ქულა წაიღეს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „სიონი“ — „დინამო“ ისეთი თამაში უნდა ყოფილიყო, როგორსაც ბოლო ხანს ზეექვსეულის საუკეთესოთაგან ვართ ნაჩვევნი.

ერთიცაა, საშაბათო სათასო მატჩების შემდეგ ორივე ამ გუნდს, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად, შანსი აქვს, ფინალშიც ერთმანეთს გადაეყაროს. და თუ ეს ვარიანტი გამოვიდა, „დინამო“ კი ჩემპიონი გახდა, „სიონი“ უეფას თასის ნანატრ საგზურს მოიპოვებს. ალბათ დაგვეთანხმებით, ბოლნისელები, რომლებმაც „ტორპედოსთან“ პირველი მატჩი შინ 1:0 მოიგეს, ქუთაისში კბილებით ეცდებიან ამ მინიმალური უპირატესობის შენარჩუნებას, „დინამოს“ კი ჩემპიონობამდე რომ მართლაც ერთი ნაბიჯი დარჩა, ვფიქრობთ, არც ეს უნდა იყოს საკამათო.

ჰოდა, ამ ერთი, უმნიშვნელოვანესი მიზეზის გამო „სიონი“ მოედანზე მოტივაციადაკარგული ჩანდა. თუმც კი მასპინძლებს თბილისელთათვის სანერვიულო ისეც არ დაუკლიათ და თუ „დინამომ“ სამი ქულა შეიმატა, ეს მეკარე დავით გვარამაძის დიდი დამსახურებაცაა, მატჩის ბოლო თხუთმეტ წუთში გვასალიასა და გაბისკირიას დარტყმული „მკვდარი“ ბურთი რომ მოიგერია.

იქამდე კი პირველი ტაიმი იყო, საგოლე მომენტების სიმრავლითა და ორი გოლით გამორჩეული. ჯერ დაუღალავმა გაბისკირიამ მოსინჯა გვარამაძის მზადყოფნა, შემდეგ კოშკაძემ, წიგწივაძესაც გაუცდა კარგი შანსი, ხოლო ბურდულმა დარასელიას ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ფეხი ჰაერშივე რომ შეაგება, ვოლკოვმა იყოჩაღა. ამასობაში 37-ე წუთმაც მოატანა: „სიონმა“ კუთხური გაითამაშა, საჯარიმოს კუთხიდან გოგიტაძემ საჯარიმოში ჩაკიდა, „დინამოს“ დაცვამ ზემოთ აიწია, თუმც კარლოსს ზურგს უკან ირემაშვილი გაეპარა, ბურთიც სწორედ მან მიიღო და მოჭრილი დარტყმით ბურთი კარის შორეულ კუთხეში შეაგდო — 1:0. ბოლნისელებმა გაიხარეს, თუმც არ დასცალდათ, „დინამომ“ მატჩი ცენტრიდან განაახლა და რამდენიმე პასის შემდეგ ანგარიშიც გათანაბრდა: ხიზანეიშვილმა, რომელსაც ახლა ალმავლობის პერიოდი უდგას, ბურთი მცველებს შუა ბურდულს გაუჭრა. ვოლკოვმა კარიდან გამოსვლა დააპირა, ლადომ ეს უმალ შენიშნა, საჯარიმოს მიახლოებულმა ბურთს გარე ტერფი ამოსცხო და ჩინებული გოლი გაიტანა.

შესვენების შემდეგ უკვე აშკარად გამოჩნდა, რომ ბოლნისელები უმოტივაციოდ თამაშობდნენ, თანაც შაბათს ატალახებულ მოედანზე „ტორპედოს“ ძლევას დიდი ძალისხმევა დასჭირდა და „დინამოსთან“ მეორე ტაიმში ცოტა დაღლაც დაეტყოთ. თბილისელთა საგოლე შანსებზე კი ბევრს აღარ მოვყვებით: დარასელიამ კუთხურიდან პირდაპირ ძელს მოარტყა ბურთი, შემდეგ ამისულაშვილის ერთი მეტრიდან დარტყმული ვოლკოვმა მოიგერია, იმავე დარასელიას გაუცუდდა ძალიან რეალური მომენტი, მერე ანჩაბაძეს... მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე კი გაბისკირიას ის დარტყმული იყო, ზემოთ რომ ვახსენეთ, აუღებელი იყოო, რომ იტყვიან. „სიონმა“ კუთხური ჩააწოდა, „დინამომ“ ბურთი საჯარიმოდან აიტანა და საგოლე შეტევაც დაიწყო. ბურთი დიდხანს დაგორავდა მასპინძელთა საჯარიმოში, დარტყმა ხან ერთმა თბილისელმა სცადა, ხან მეორემ, ბოლოს კი დარასელიამ იყოჩაღა და ვოლკოვს შორეულ კუთხეში გაუტანა — 1:2. ამის შემდეგ „სიონმა“ კიდევ მოიკრიფა ძალა და მეტოქეს შეუტია. სახიფათო და რეალური საგოლე მომენტი კი გვასალიას შეექმნა, რომელმაც გვარამაძეს საჯარიმოს გარედან ეშმაკურად დაურტყა, მაგრამ გუშინ „კოშკა“ შეუდარებელი იყო.

*ივო შუშაკი, „დინამოს“ მწვრთნელი:*

— მატჩი „დინამოსთვის“ ძალიან მძიმე გამოდგა, თუმც ეს მოსალოდნელიც გახლდათ. ვშიშობდი, „ლოკომოტივთან“ ზედიზედ ჩატარებული კარგი მატჩების შემდეგ გუნდს „სიონთან“ შეხვედრაში კონცენტრაცია არ დაეკარგა და არ მოდუნებულიყო. მეორეც, უხარისხო მოედანმა თამაშს თავისი კვალი დაატყო. საბედნიეროდ, ჩვენთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა.



გამარჯვების გოლი ვიტალი დარასელიამ გაიტანა



ლევან მელქაძემ მონაგარს კიდევ ერთი გოლი შემატა

# ადამიას მელქაძის გოლი სთხოვეს

## გოჩაშვილმა ვიტ ჯორჯია გინებით მიატოვა

კახა შალამბერიძე

**თავისი არსებობის** მანძილზე „ვიტ ჯორჯია“ ასე ახლოს ჩემპიონობასთან არ ყოფილა. ვეტერინარები ყოველ მატჩის შემდეგ სერიოზულ განაცხადს აკეთებენ. მით უმეტეს, მაშინ, როცა ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის „ლოკომოტივი“ ქულების განიავებით არიან „გართულნი“. ამაში „ვიტ ჯორჯიას“ ამ ორი გუნდის დღევანდელი ჯახიც წაეხმარება. ცხადზე ცხადია, ამ მატჩში ერთ-ერთი ქულას დაკარგავს.

ამიტომაც იყო, ჯანი კარნევალის შეგირდებს გუშინ ფოთის „კოლხეთი“ ბდღვნად რომ არ ეყოთ. ჩვეული 3-5-2 და ფლანგებიდან აქტიური შეტევები ზღვისპირელთათვის გაუმკლავებელ ბარიერად იქცა.

საქართველოში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მოთამაშე „ვიტ ჯორჯიაც“ თავიდანვე ეკვეთა კოლხთა დაცვით ჯებირებს და მალე გაანგრია კიდეც. პირველი გოლი ისეთი სილამაზის გამოდგა, რომ ნებისმიერი ფეხბურთის გურმანს დააკმაყოფილებდა.

მე-4 წუთზე დავით დოლიძის მიერ მოედნის ცენტრში მონადირებული ბურთი ლაშა ნოზაძემ ერთი შეხებით საპირისპირო ფლანგზე ლევან მელქაძისკენ გაგზავნა. ვეტერინართა მთავარმეგოლემაც ასევე გრძელი პასით საჯარიმოში შერბენილ გიორგი ადამიას ფეხზე დაასვა. „კოლხეთის“ დაცვა და მეკარე უძლურნი აღმოჩნდნენ.

სტუმრებს ამის შემდეგაც არ გამოუდვიათ თავი. თბილისელები მწვავედ უტევდნენ მეტოქის კარს და მალე მელქაძე-ადამიას გარჯამ მეორე გოლიც გამოაცხო — შეტევა ოლეგ გველესიანმა დააგვირგვინა.

დრო გადიოდა და გულშემატკივარი ლევან მელქაძის გოლს ითხოვდა. თამაში უკვე გაკეთებული იყო და ახლა მის ბომბარდირობაზეც შეიძლებოდა ფიქრი. ლევანმაც ხალხი არ გააწბილა და მოუსვენარი გიორგი ადამიას ზუსტი პასით მესამედ დალაშქრა კოლხთა კარი.

ერთი სიტყვით, „ვიტ ჯორჯიამ“ პირველივე ტაიმში გადაურბინა მეტოქეს და გვარიანი უპირატესობითაც გავიდა შესვენებაზე.

მეორე ტაიმი შედარებით დუნე, მაგრამ მაინც საინტერესო გამოდგა. ჯანი კარნევალიმ გუნდის ტაქტიკურ განლაგებაში მცირე კორექტივები შეიტანა და ვეტერინარებმაც მეოთხე გოლის გასატანად გაიწიეს. ეგ არის, არაფერი გამოუვიდათ. ფოთელთა კართან რამდენიმე მწვავე ეპიზოდი კი შეიქმნა, მაგრამ სტუმრებმა ხიფათი აიცილეს თავიდან.

თითქოს ყველაფერს მშვიდობიანად უნდა ჩაევლო, თუმც 68-ე წუთზე მსაჯ ალექსანდრე შილაკაძეს მოედანზე წესრიგის დასამყარებლად წითელი ბარათი დასჭირდა. დაჯარიმებულმა ვლადიმერ გოჩაშვილმა შილაკაძეს შეაგინა და არ შერჩა. არბიტრმა ვეტერინარი გააძევა. არადა, რა საჭირო იყო გოჩაშვილის ასეთი საქციელი, გაუგებარია. „ვიტ ჯორჯიას“ ხომ ახლა გადამწყვეტი ბრძოლები ელის. მოედნიდან გასვლისას ფეხბურთელმა ჯანი კარნევალის გვარიანი რისხვაც დაიმსახურა.

ოთხ წუთში გოჩაშვილის გზას ფოთელი ნარსიაც გაუყვა. შილაკაძემ მასაც სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის აუფრიალა წითელი ბარათი.

მატჩიც გუნდებმა ათ-ათი კაცით ჩაამთავრეს. მასპინძლებმა 3:0 დაამარცხეს ფოთის „კოლხეთი“, რომელმაც ორ ლიდერს, ქუთაისის „ტორპედოსა“ და „დინამოს“ საჭირო ქულები დააკარგვინა, გუშინ კი ვერაფერი გააწყო „ვიტ ჯორჯიასთან“.

თბილისი. 23 აპრილი. 16 საათი. შევარდენი. 200 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 3:0 კოლხეთი

1:0 ადამია (4), 2:0 გველესიანი (16), 3:0 მელქაძე (34)

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, მუჯირი, ვ. გოჩაშვილი, დ. დოლიძე, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე (ლ. მერებაშვილი 60), გველესიანი, მარცვალაძე (ბოლქვაძე 46), ადამია (ე. მერებაშვილი 77), მელქაძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; კვახაძე, დათუნაიშვილი, ბერელიძე
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**კოლხეთი:** ა. ლაბაძე, მ. ქობულაძე, გოროზია, ნარსია, კრასოვსკი, შ. ლონდაძე, დარსანია (მ. ფილია 81), კვერნაძე (მარგალიტაძე 60), გოჩალეიშვილი (ბალათურია 64), გაგუა, მალანია
*სათადარიგო:* ჩემია
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**გაფრთხილება:** გოჩალეიშვილი (43)

**გაძევება:** გოჩაშვილი (68), ნარსია (72)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი); დ. ხანია (სოხუმი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** ვ. ქორიძე

ჯარიმა: 13-14; კუთხური: 3-1; კარისკენ დარტყმა: 8-4; კარში დარტყმა: 5-0; თამაშგარე: 9-0



გიორგი ადამია

ვერიკო დოლეჯიშვილის ფოტოები



ვლადიმერ გოჩაშვილს ალექსანდრე შილაკაძემ გინება არ შეარჩინა

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 19 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 17 - იოსანიძე | ტორპედო |
| 14 - დარასელია | დინამო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 38 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 35 |
| ტორპედო | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 31 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:6 | 28 |
| სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 22 |
| კოლხეთი | 5 | 0 | 3 | 2 | 0:9 | 18 |

## VII–XII ადგილები

გურჯაანი. 23 აპრილი. 16 საათი. დავით ყიფიანი. 500 (ტევადობა 10 000)

### მილანი 0:1 დილა

0:1 სულთანიშვილი (79)

**მილანი:** მამალაძე, ლ. ბოქორიშვილი, ლამბაშიძე, აკობია, ბარამიძე (ხაჩიძე 80), გ. ნხაიძე, მეტონიძე, ჯაფარიძე, ეგაძე (მურჯიკნელი 80), დ. გოდერძიშვილი, მედოევი
*სათადარიგონი:* გიორბელიძე; გიორგაძე, ლულუნაძე, ჯვადეიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ბოქორიშვილი

**დილა:** გ. სომხიშვილი, გ. ჩიტაია, ლომიძე, ოლგესაშვილი, სულთანიშვილი (დ. ხანიშვილი 87), ბ. ჩიტაია, გილაური, მორჩილაძე, რაზმაძე, ლ. გოჩაშვილი, ახალაძე (მარღიშვილი 82)
*სათადარიგონი:* ილურიძე; არუდაშვილი, მ. სომხიშვილი, მუშკუდიანი, კ. ხანიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**გაფრთხილება:** ოლგესაშვილი (20), ლამბაშიძე (33), რაზმაძე (55), ბარამიძე (63)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** გ. როსტომაშვილი

ჯარიმა: 23-23; კუთხური: 4-0; კარისკენ დარტყმა: 1-2; კარში დარტყმა: 2-10; თამაშგარე: 2-5

# გურჯაანში ფედერაცია ქიზიყურად მოიკითხეს

მამუკა კვანტალიანი გურჯაანიდან

**დიდი** შანსი იყო, გუშინდელი „მილანი“ — „დილა“ ქიზიყური გუნდის მშობლიურ სარბიელზე ჩატარებულიყო. ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომისია გუშინწინ ეწვია ძველ ანაგას, იქაურობა საგულდაგულოდ შეამოწმა, მაგრამ გადაწყვეტილება ნაჩქარევად არ გამოიტანა, მხოლოდ გუშინ დილით გახდა ცნობილი, რომ ქიზიყელები და ქართლელები გურჯაანში ითამაშებდნენ. ძველ ანაგაში სტადიონი გაახლეს, გვარიანი სამუშაოებიც ჩაატარეს, მაგრამ, კომისიის აზრით, მოედნის საფარი ჯერაც ვერ პასუხობს საჭირო სტანდარტებს.

ვერ გეტყვით, როგორი საფარია ძველანაგურ სარბიელზე, მაგრამ თუ გურჯაანულზე უარესია, მაშინ მისი საშველი არასდროს იქნება. არადა, წნორელები საპირისპიროს ამტკიცებდნენ და ფედერაციაზეც ერთობ გამწყრალები ჩანდნენ.

„დავით ყიფიანს“ ვინც თვალი გადაავლო, მაშინვე მიხვდებოდა, რომ გუშინდელი მატჩის ფავორიტი ის იყო, ვისაც ძალა მეტად ერჩოდა. ასეთი „დილა“ აღმოჩნდა. სტუმარმა ისე მოიგო, რომ მასპინძლისთვის ერთი შანსიც არ მიუცია და თითქმის გაინაღდა უმაღლესში დარჩენა.

„მილანმა“ ორიოდ დღის წინ ყოფილი ბოლნისელები — გოდერძიშვილი და ჩხაიძე შეიმატა. თითქოს კიდევ უფრო უნდა მოღონიერებულიყვნენ წნორელები, მაგრამ დიდი ხნის უთამაშებელი ახალწვეულები ვერაფრით შეეწივნენ ქიზიყის სიამაყეს. მასპინძლებმა გუშინ ტრავმირებული სამხარაძე და ბაჯელიძე ვერ ათამაშეს და „მილანის“ შუა ხაზიც გურჯაანულ ტლაპოში ჩაიძირა.

არც „დილა“ იყო სრული შემადგენლობით. ხორგუაშვილმა დისკვალიფიცირებული საყვარელიძე და ფეხმტკივანი ფეზუაშვილი ვერ დაიხმარა, მაგრამ გორელთა მოძრავმა შუა ხაზმა მეტოქეს მოსვენება აღარ მისცა. ახალაძემ, რაზმაძემ, ლომიძემ, გილაურმა და მორჩილაძემ დალლა არ დაიტყვეს და „მილანმა“ მათ ვერაფერი დააკლო.

მასპინძლებს თავიდან კიდევ არაფერი უჭირდათ. თამაშის დასაწყისში მედოევმა ერთი-ორჯერ ააფორიაქა სტუმრები, თუმც შუა ტაიმისთვის უპირატესობა „დილამ“ იგდო ხელთ და მატჩიც სათავისოდ დაასრულა.

„მილანმა“ მთელი ენერგია სტუმართან ჭიდილს და მოედნის შუაგულში არსებული ჭაობის დალაშქვრას შეალია. პირველ ტაიმში „დილამ“ მეტოქეს კიდევ აცალა, ხოლო მეორე 45 წუთის დაწყებიდანვე სისწრაფეს უმატა და რომ გამართლებოდა, სულ მცირე, სამი ბურთით მოიგებდა. ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს მორჩილაძემ, სულთანიშვილმა და ახალაძემ. ამათ მეკარე მამალაძემ არ გაატანინა.

მოსახდენი კი თამაშის მიწურულს მაინც მოხდა. „დილამ“ მასპინძლის შეტევა საკუთარ საჯარიმოსთან ჩაშალა. რაზმაძემ ფლანგზე გაჭრილი ბექა ჩიტაიაც დროულად შენიშნა და პასიც არ დაუგვიანა. ბექამ, რომელიც 90 წუთი არ გაჩერებულა, ოცდაათიოდე მეტრი ბურთიანად იარა და კარის წინ სულთანიშვილს ზუსტად უპასა. საბამ ბურთს ფეხი დაუხვედრა და მეკარე უძლური იყო, სტუმარი დაწინაურდა.

„მილანს“ ძალა არ ერჩოდა, თორემ მონდომება არ დაუკლია, მაგრამ სტუმართა დაცვა უშეცდომოდ ირჯებოდა. ნამატჩევს ქიზიყელებმა ფედერაციას „ლოცვა-კურთხევა“ არ მოაკლეს, არც თავიანთი ფეხბურთელების გაკიცხვა დავიწყებიათ და სტადიონიდან გულდათუთქულები წავიდნენ.

# რუსთაველი შთაგონება და დავითაშვილის თავი

რუსთავი. 23 აპრილი. 16 საათი. ფოლადი. 800 (ტევადობა 10 750)

## გორდა 0:1 მერანი-ოლიმპი

0:1 დავითაშვილი (64)

**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბერიძე, სილაგაძე, კ. ალადაშვილი, ნოზაძე (ვ. ჩხაიძე 70), ზვ. ლაბაძე (სოხაძე 70), ჯელაძე, ჩოხელი (არსოშვილი 26), ლ. ალადაშვილი, ადეიშვილი
*სათადარიგონი:* ჯანიაშვილი; მიქავა, ჯ. თავბერიძე, სოზაშვილი
**მწვრთნელი:** იასონ ალადაშვილი

**მერანი-ოლიმპი:** ნაჭყეპია, ხარებავა, სიდამონიძე, მიქიაშვილი, მესხი, დავითაშვილი, გოგიჩაიშვილი (ნადირაშვილი 90), გ. ნუგ. ჭელიძე, ხოჯავა, აფციაური, მიკუჩაძე (ელიავა 89)
*სათადარიგონი:* გაბელია; მალაზონია, კიკაჩეიშვილი, ნინუა, ლოლაძე
**მწვრთნელი:** ნიკოლოზ დოლიძე

**გაფრთხილება:** ლ. ალადაშვილი (31), ჭელიძე (67)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. ჯვარიძე, ზ. ხუციშვილი; მ. მალაღურაძე (ყველა თბილისი);

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **დირექტორი:** გ. ჯიშკარიანი

ჯარიმა: 18-13; კუთხური: 2-2; კარისკენ დარტყმა: 2-2; კარში დარტყმა: 1-6; თამაშგარე: 3-5

**პაატა კვანტალიანი რუსთავიდან**

ეროვნულ ჩემპიონატში „მერანი" ერთადერთი გუნდი გახლდათ, რუსთაველებს წამლადაც რომ ვერ დაემარცხებინათ. „გორდამ" ნამერანალ ოლიმპიელებთანაც წაიმტვრია კისერი და უსახურად წააგო პრინციპულ საშინაო მატჩში.

არადა, სტუმართა დამარცხებით მეფოლადეები საუმაღლესლიგო საქმეს წინ გვარიანად წაიგდებდნენ, მაგრამ მეორე ეტაპზე დაუმარცხებელმა „გორდამ" სწორედ ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან შეწყვიტა წარმატებული სერია.

რაც მოხდა, თავისთავს დააბრალონ მასპინძლებმა. იასონ ალადაშვილის გუნდმა სტუმართა კარისკენ პირველად 71-ე წუთზე დაარტყა და რაღა გასაკვირია, რომ ასეთი გაქანებით გუშინ წარმატების მიზერული შანსი ჰქონდა.

რუსთავულ ოღრო-ჩოღროზე რიგიანად ითამაშეს სტუმრებმა, „სიონისგან" თავდახსნილი კახა სიდამონიძით გაძლიერებულმა თბილისელებმა დებიუტშივე მოიპოვეს ტერიტორიული უპირატესობა და მატჩის ბოლომდე არ გაუშვიათ სადავეები ხელიდან.

სტუმართაგან განსაკუთრებით აფციაურ-მიკუჩაძის დუეტი აქტიურობდა. მათ გამოცდილი დავითაშვილიც არაფერში ჩამორჩა და დროის გასვლასთან ერთად უფრო და უფრო უჭირდათ რუსთაველებს სტუმართა იერიშების მოგერიება.

საპირველტაიმოდ ნიკოლოზ დოლიძის ბიჭებს ორი საგოლე შანსი ჰქონდათ — დებიუტში ჭელიძის თავური მცირედ ასცდა ბედიაშვილის კარს, 28-ე წუთზე კი აფციაურის მოულოდნელი გასროლილი სასწაულებრივ მოიგერია მეკარემ. პირველ ტაიმშივე იყო, ლაშა ალადაშვილისა და რეზო ნაჭყეპიას წიხლური წაკიდება მეგობრული ხვევნაკოცნით რომ დასრულდა. მეშკოვმა ალადაშვილი ყვითელ ბარათს დააჯერა.

მეორე ტაიმის ნახევარი ულიმლამოდ გაილია. რუსთაველებმა, რომელთაც მეტოქის კარს ვერა და ვერ მოარგეს გასაღები, თითქოს გოლზე ხელი ჩაიქნიეს. ისე უნიათოდ დარბოდნენ მოედნის ცენტრში, მასპინძელთა ბედოვლათობამ „მერანი-ოლიმპს" კვლავაც შეტევაზე გააწევინა და პირველივე მცდელობა 64-ე წუთზე გოლით დასრულდა. ხოჯავას ჯარიმისას მიკუჩაძემ თავით ჩააგდო ბურთი მეკარის სიახლოვეს, იქ კი დავითაშვილმა თავითვე აუღებელი დაურტყა ბედიაშვილს.

დარჩენილ დროში „გორდას" ანგარიშის გათანაბრების შანსი არც ჰქონია. მეტიც, აფციაურსა და მიკუჩაძეს დაღლა რომ არ დასტყობოდათ, ეგებ ანგარიში შეეცვალათ.

უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლას რუსთაველები თავიდან იწყებენ.



სულიკო დავითაშვილმა „გორდას" გამარჯვების გაუტანა

ბათუმი. 23 აპრილი. 16 საათი. დინამო. 800 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 2:0 მეტალურგი

1:0 გუშარაშვილი (14), 2:0 შენგელია (57)

**ბათუმი:** ი. ბალაძე, ცინარიძე, გუშარაშვილი, დუმბაძე, კობიძე (გალოგრე 65), ქაცარავა, რომანაძე, ი. შენგელია (კუკულავა 69), დარჩიძე, ფურცხვანიძე, ბეჟანიძე (ინიაშვილი 75)
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; სეფერთელაძე, გ. მოდებაძე, იალამიდი
**მწვრთნელი:** ასლან ბალაძე

**მეტალურგი:** მდინარაძე, გელაშვილი (ჭუმბაძე 77), კ. თავბერიძე, შველიძე, კვანტრიშვილი, მანჯავიძე, კაპანაძე, ჭუმბურიძე, ნებიერიძე (ე. მაღლაკელიძე 70), ნიშნიანიძე (შულაძე 88)
*სათადარიგონი:* ლვინიანიძე, მ. ბოგვერაძე, შავგულიძე, გ. ბოგვერაძე
**მწვრთნელი:** გურამ მაზმიშვილი

**გაფრთხილება:** ნებიერიძე (16)

**მსაჯები:** ი. კახიანი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), მ. ურუშაძე (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. ეჯიბაია; **დირექტორი:** ა. გრეკოვი

ჯარიმა: 25-21; კუთხური: 8-2; კარში დარტყმა: 6-1; კარისკენ დარტყმა: 5-1; თამაშგარე: 10-4

# ნელა-ნელა, ნება-ნება

**გოჩა ჟანაშია ბათუმიდან**

ეჰ, სამსახურეობრივ მოვალეობას რა ვუთხარი, თორემ „მანჩესტერ" — „რეალის" მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გუშინდელი ბათუმური შეხვედრის ხილვა ტანჯვა იყო და მეტი არაფერი. გვესმის ელემენტარული პირობების არმქონე ზესტაფონელების გაჭირვების, მაგრამ მათ ქმედებას კაცი თამაშს ვერაფრით დაარქმევდა.

მეტალურგები მთელი 90 წუთი სრულიად უსუსურად გამოიყურებოდნენ. საგოლე მომენტებს ვინღა ჩივის, კარის ჩარჩოში ბურთი მხოლოდ ერთხელ, მატჩის დებიუტში შორეული ჯარიმიდან მოახვედრეს და კუთხური რომ კუთხურია, ისიც ორჯერ მოინადირეს, თან მასპინძელთა დაუდევრობის ხარჯზე.

ერთადერთხელ იყო, 68-ე წუთზე, ჭუმბურიძეს რომ მიეცა გატანის არცთუ ურიგო შანსი და ისიც ფეხის ერთმა უხეირო მოქნევამ გააქარწყლა.

„ბათუმი", როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას, დიდი უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ ეს ყველაფერი სტუმართა კართან გამუდმებულ იერიშებში არ გამოხატულა. თუმცა რა საჭირო იყო ზედმეტი თავგამოდება, ოფლის ღვრა, როცა უამისოდაც შეიძლებოდა ასეთ მეტოქესთან მიზნის მიღწევა.

თამაშის აღწერით თავს მხოლოდ იმ მიზეზით არ შეგაწყენთ, რომ იქ არც არაფერი იყო დასამახსოვრებელი. გეტყვით იმას, რომ თითო ტაიმში თითო გოლით აისახა ზღვისპირელთა უპირატესობა. პირველად მე-14 წუთზე იხეირა ტანმაღალმა გუშარაშვილმა, რომელმაც შენგელიას კუთხურს სამეკაროდან თავი მას შემდეგ დაუხვედრა, რაც იგი სრულად უმეთვალყურეოდ დატოვეს სტუმარმა მცველებმა.

მეორე გოლში ლომის წილი დაიდო დარჩიძემ. მან თამაშგარის გაკეთების მცდელობისას დაიჭირა მეტოქის უკანა ხაზი და ერთბაშად სამი თანაგუნდელი ერთი ზუსტი პასით მეკარეს შეატოვა. გასატანად სამი ბათუმელი კი დაიძრა, მაგრამ მათ ირაკლი შენგელიამ დაასწრო, დარჩიძის პასი მიიღო თუ არა, უმალ კარს მიუახლოვდა და მდინარაძეს ბურთი ფეხებშუა გაუტანა.

რა თქმა უნდა, ამ ორი ეპიზოდის გარდა მასპინძლებს კიდევ შეექმნათ გატანის მეტ-ნაკლები შანსი, მაგრამ ასლან ბალაძის შეგირდები ერთობ უგერგილოდ ირჯებოდნენ. ჰოდა, რაც იყო, ეგ იყო. ესეც ხომ კმაროდა „მეტალურგის" დასამარცხებლად და ვერც ვერავინ გაამტყუნებს ბათუმელებს ასეთი გარჯისთვის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 5 | 3 | 2 | 0 | 5:1 | 22 |
| ბათუმი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 20 |
| მერანი-ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:3 | 19 |
| გორდა | 5 | 2 | 2 | 1 | 4:1 | 15 |
| მილანი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:3 | 12 |
| მეტალურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:13 | 10 |

# რაჭული ქვესამართალი

## წიხლუკა წიხლუკებით ისჯება

ეს მწარე ქართული რეალობაა. თურმე დამნაშავის „დასჯისას" შენს მიერ ჩადენილი ახალი დანაშაული არაფრად ითვლება. უფრო მეტიც, ამაზე მთელი სიამაყის გრძნობით შეგიძლია ილაპარაკო არა მარტო საახლობლო, არამედ ოფიციალურ წრეშიც... საქართველოში სხვანაირად არ იციან და ეს მით უფრო შემაშფოთებელია, რომ ამგვარ უმეცრებას ხშირად ამა თუ იმ თანამდებობის პირები ჩადიან.

ფაქტი ვთქვათ და დასკვნების გაკეთება თავადაც არ გაგიჭირდებათ. გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის მორიგი სხდომა ჩატარდა. უმთავრესი თემა რეგიონული ლიგის დასავლეთ ზონის ოცდამეერთე ტურის მატჩი, „რაჭა„ — „ჩიხურა" გამოდგა — სკანდალური მატჩი ვითომ მშვიდობიანი დასასრულით...

რაჭაში ფეხბურთის აღორძინება ურიგო საქმე ნაღდად არ არის, მაგრამ ფეხბურთი რომ მხოლოდ თამაში არაა, სადავო არ უნდა იყოს. სტადიონზე წესრიგის დამყარება კი საქართველოში დღემდე გადაუჭრელ პრობლემად ქცეულა.

ერთი სიტყვით, ლიგის ლიდერი საჩხერის „ჩიხურა" „რაჭას" ესტუმრა და თამაშიც გაჩაღდა. რაიონებში მატჩებზე დასწრება თბილისთან შედარებით აშკარად მაღალია და თურმე გულშემატკივართა დაშოშმინებისთვის 7-8 პოლიციელი საკმარისი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ასეთია რაჭა-ლეჩხუმის მხარის გუბერნატორის თანაშემწის, დავით დარახველიძის აზრი.

შესვენებაზე კი მასპინძელთა ერთ-ერთმა ვაი-ქომაგმა თავისი გუნდის წარუმატებელ თამაშში მსაჯები დაადანაშაულა და საქმის გარჩევა მათი სიტყვიერი შეურაცხყოფიდან ფიზიკურშიც გადაიზარდა. მატჩის დასრულებას, ცხადია, საფრთხე შეექმნა. მსაჯ-ინსპექტორები მოედანზე გასვლას არ აპირებდნენ, თუმცა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მაინც დათანხმდნენ და შეხვედრაც ექსცესების გარეშე დამთავრდა. ახლა კი დავით დარახველიძეს მოვუსმინოთ, რომელმაც გუშინ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე მთელი სერიოზულობით განაცხადა:

— მადლობელი ვარ მსაჯ-ინსპექტორების, რომ ისინი მატჩის გაგრძელებაზე დაგვთანხმდნენ. პირობას ვიძლევი, რომ ასეთი უმსგავსო ფაქტი ჩვენს თამაშებზე არ მოხდება. გთხოვთ, ფულად ჯარიმას ნუ მოგვცემთ, რადგან ისედაც გაჭირვებულ გუნდს ეს უმძიმეს ტვირთად დააწვება და შეიძლება „რაჭა" დაიშალოს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ თამაშის მეორე დღეს სამართალდამცავებმა ის ხულიგანი დაიჭირეს და დარწმუნებული იყავით, რაც მსაჯებს მოხვდათ, იმაზე ორჯერ მეტად გაილახა...

მეტს აღარ გავაგრძელებთ. ერთს კი ვიტყვით: თუ დამნაშავის დასჯად მისი უმოწყალოდ ცემა ითვლება, მაშინ უკაცრავად...



დისციპლინარებმა წვრილშხვილი დამნაშავეების დასჯას დიდი ხანი არ მოანდომეს

ერთი სიტყვით, „რაჭის" სტადიონს ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და სეზონის ბოლომდე გაფრთხილებაც გამოუწერეს.

ახლა სხვა წვრილ-წვრილ სასჯელებზეც ვთქვათ. ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მოუხსნეს „ოლიმპიკის" ფეხბურთელ გიორგი ნამორაძეს. 16 წლის ნამორაძე შარშან 28 სექტემბერს მსაჯის ცემისთვის დაისაჯა და მას შემდეგ არ უთამაშია. კლუბის პრეზიდენტ კარლო მჭედლიძის შუამავლობით დისციპლინარებმა ახალგაზრდა ფეხბურთელი კიდევ ერთხელ, სიტყვიერად დატუქსეს და შვიდთვიანი უქმობა აკმარეს. ნამორაძეს 28 სექტემბრამდე პირობითი დისკვალიფიკაციაც დაუტოვეს.

ექსცესების გარეშე არც პირველი ლიგის 13 აპრილის ერთ-ერთ მატჩს ჩაუვლია. „მცხეთა" — „მერცხალის" ჯახში სტუმარ-მასპინძელი გიორგი ქორიძე და დავით კარიაული ხელიხელ შეიბნენ. ორივეს ორ-ორ მატჩიანი დისკვალიფიკაცია და ასლარიანი ჯარიმა სტკიცეს.

მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ერთნაირად დაისაჯა სამი ფეხბურთელი — ზუგდიდის „ლაზიკას" თავდამსხმელი პაატა ბაკარანძე, „გურიას" ვეტერანი ზვიად ენდელაძე და მარტვილელი ჯიმშერ მარკოზია სამი თამაშით დაისვენებენ და 150 ლარსაც გადაიხდიან.

უმაღლესი ლიგის „დინამო" — „ლოკომოტივის" სკანდალურ მატჩში გაძევებული სერგო ორბელაძე კი ერთ თამაშს გამოტოვებს და 50 ლარითაც შეითხელებს ჯიბეს.

100-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა რუსთავის „გორდას". რუსთაველებმა საკუთარი გუნდის „ბათუმთან" შეხვედრა ვიდეოფირზე ვერ გადაიღეს, რაც დებულების დარღვევაა.

ბოლოს კი პირველი ლიგის „მერანალაზან" — „ლოკომოტივ-2"-ის ჩაუტარებელ მატჩზეც ვთქვათ. რკინიგზელები გურჯაანში სათამაშოდ არ ჩავიდნენ და შესაბამისად 0:3 წაგებაც ჩაეთვალათ. დებულებით ამგვარი დანაშაული ჩემპიონატიდან მოკვეთით ისჯება, მაგრამ დისციპლინარებმა რკინიგზული კლუბის ფედერაციაში გაგზავნილი წერილიც გაითვალისწინეს, სადაც კლუბი სფფ-ს თამაშის გადადებას სთხოვდა. ფედერაციამ უარით უპასუხა, მაგრამ ეს ფაქტი მაინც საპატიო მიზეზად ჩაითვალა და „ლოკომოტივი 2" ჩემპიონატში ითამაშებს.

**კახა შალამბერიძე**

# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

## გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 18.30 | 001 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.30 | 002 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 18.30 | 003 | ჰერტა-ჰანოვერი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 004 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 005 | შალკე-ბოხუმი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 18.30 | 006 | გლადბახი-ლევერკუზენი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 18.30 | 007 | მიუნხენი-დორტმუნდი | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| | | 27 აპრილი | | | | | | |
| 20.30 | 008 | არმინია-კოტბუსი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |

## გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 17.00 | 022 | აუე-ვატენშაიდი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

## იტალია. სერია "A". XXX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 23.30 | 096 | რომა-მილანი | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| | | 27 აპრილი | | | | | | |
| 18.00 | 097 | ბოლონია-კიევო | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 18.00 | 098 | კომო-მოდენა | 3,4 | 3,1 | 2,0 | 1,62 | 1,25 | 1,21 |
| 18.00 | 099 | ემპოლი-უდინეზე | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| 18.00 | 100 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,3 | 4,4 | 10,0 | 1 | 1,15 | 3,05 |
| | 101 | იუვენტუსი-ბრეშა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 102 | პიაჩენცა-პერუჯა | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 18.00 | 103 | რეჯინა-პარმა | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 23.30 | 104 | ინტერი-ლაციო | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |

## ესპანეთი. I დივიზიონი. XXXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 23.00 | 142 | ბილბაო-ბეტისი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 00.30 | 143 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | 27 აპრილი | | | | | | |
| 20.00 | 144 | მალიორკა-დეპორტივო | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 20.00 | 145 | ვალენსია-ალავესი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 21.00 | 146 | სელტა-ვალიადოლიდი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.00 | 147 | რაიო-ესპანიოლი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 21.00 | 148 | მალაგა-რასინგი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 21.00 | 149 | უელვა-ვილიარეალი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 22.00 | 150 | სევილია-რეალი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| 23.30 | 151 | ბარსელონა-სოსიედადი(ნ) | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |

## ესპანეთი. II დივიზიონი. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 21.30 | 152 | სპორტინგი-ტენერიფე | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| 21.30 | 153 | ტერასა-სარაგოსა | 2,9 | 2,8 | 2,5 | 1,42 | 1,34 | 1,32 |
| 21.30 | 154 | ეიბარი-კორდობა | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| 00.30 | 155 | ლას პალმასი-სალამანკა | 1,95 | 2,8 | 4,4 | 1,14 | 1,35 | 1,71 |
| | | 27 აპრილი | | | | | | |
| 15.00 | 156 | ალბასეტე-ლევანტე | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 15.00 | 157 | ლეგანესი-მურსია | 2,8 | 2,8 | 2,6 | 1,39 | 1,34 | 1,34 |
| 21.00 | 158 | ბადახოსი-ხეტაფე | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 21.00 | 159 | ეხიდო-ალმერია | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1,11 | 1,33 | 1,76 |
| 21.00 | 160 | ხერესი-ფეროლი | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| 21.00 | 161 | ელჩე-კომპოსტელა | 2,15 | 2,8 | 3,6 | 1,21 | 1,34 | 1,57 |
| 21.00 | 162 | ნუმანსია-ოვიედო | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | | | | | |
| 22.30 | 164 | სტ.ეტიენი-ტულუზა | 2,7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |
| | | 25 აპრილი | | | | | | |
| 23.30 | 165 | რეიმსი-ვალანსი | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 23.30 | 166 | კრეტეი-გენიონი | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |

## პორტუგალია. II ლიგა. XXIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 27 აპრილი | | | | | | |
| 15.30 | 179 | შავეში-ალვერკა | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 19.00 | 180 | მადეირა-ნავალი | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 19.00 | 181 | ფარენსე-ავეში | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 19.00 | 182 | სალგეიროში-კოვილია | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 183 | ამადორა-ოვარენსე | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 19.00 | 184 | მაია-მარკუ | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 19.00 | 185 | ფელგეირაში-ლეცა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 19.00 | 186 | პორტიმონენსე-პენაფიელი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |

## ჰოლანდია. I დივიზიონი. XXIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 აპრილი | | | | | | |
| 23.00 | 187 | ვოლენდამი-ტილბურგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 22.30 | 188 | ჰერენვენი-ვიტესი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 22.30 | 189 | გრააფშაპი-პსვ | 7,0 | 4,2 | 1,4 | 2,62 | 1,16 | 1,04 |
| 23.00 | 190 | ტვენტე-ექსელსიორი | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| | | 27 აპრილი | | | | | | |
| 16.00 | 191 | ალკმაარი-აიაქსი | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| 17.30 | 192 | ფეიენოორდი-როზენდალი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 193 | ფეიენოორდი-როზენდალი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 17.30 | 194 | ნაიმეგენი-უტრეხტი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 17.30 | 195 | გრონინგენი-ბრედა | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

## პოლონეთი. XXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 აპრილი | | | | | | |
| 22.00 | 241 | ლეგია-კატოვიცე | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 19.00 | 242 | ზაგლებე-პლოცკი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 21.15 | 243 | ვისლა-ამიკა | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 22.00 | 244 | რუხი-ვიძევი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | 27 აპრილი | | | | | | |
| 18.00 | 245 | გროძისკი-პოლონია | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 18.00 | 246 | გარბარნია-ლეხი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

## თურქეთი. XXIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 16.30 | 247 | ელაზიღი-ბეშიქთაში | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| 18.30 | 248 | ანკარაგუჯუ-დიარბაქირი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 21.00 | 249 | ფენერბაჰჩე-სამსუნი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 250 | ფენერბაჰჩე-სამსუნი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | 27 აპრილი | | | | | | |
| 16.30 | 251 | ალთაი-გენჩლერბირლიგი | 3,6 | 3,4 | 1,85 | 1,74 | 1,22 | 1,19 |
| 16.30 | 252 | ტრაბზონი-გოზთეფე | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 16.30 | 253 | გაზიანთეპი-ისთანბული | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 16.30 | 254 | მალატია-ბურსა | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 21.00 | 255 | გალათასარაი-ადანა | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 256 | გალათასარაი-ადანა 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |

## შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 19.00 | 257 | აბერდინი-ლივინგსტონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 258 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 259 | დანფერმლაინი-ჰარტსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 260 | პარტიკი-მაზერუელი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | 27 აპრილი | | | | | | |
| 16.30 | 261 | რეინჯერსი-სელტიკი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 262 | დანდი-კილმარნოკი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |

## დანია. გადადებული მატჩი.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | | | | | |
| 22.00 | 287 | ფარუმი-ორჰუსი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |

## შვეიცარია. B ჯგუფი. VIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 20.30 | 319 | კონკორდია-ივერდონი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.30 | 320 | ბელინცონა-ვინტერთური | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | 27 აპრილი | | | | | | |
| 17.30 | 321 | შაფჰაუზენი-ბადენი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 17.30 | 322 | ლოზანა-ვილი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |

## რუსეთი. VI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | | | | | |
| 16.00 | 328 | ლოკომოტივი-მეტალურგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 16.00 | 329 | როტორი-შინნიკი | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| 16.00 | 330 | დინამო-ტორპედო | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |

## საფრანგეთი. თასი. ½ ფინალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 21.00 | 353 | ისტრი-რენი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| | | 27 აპრილი | | | | | | |
| 23.45 | 354 | პსჟ-ბორდო | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |

## დანია. თასი. ½ ფინალი. I ეტაპი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | | | | | |
| 22.00 | 361 | ბრონდბიუ-ოლბორგი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 22.00 | 362 | ვიბორგი-მიდტიულანდი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |

## უეფას თასი. ½ ფინალი. II ეტაპი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | | | | | |
| 24.00 | 367 | ლაციო-პორტუ | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 00.05 | 368 | ბოავიშტა-სელტიკი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |

## ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I ეტაპი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | | | | | |
| 05.10 | 372 | ბოკა ხუნიორსი-პაისანდუ | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 07.30 | 373 | უნამ-კობრელოა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |

## კალათბურთი. ულების თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | | | | | |
| 23.00 | 659 | ვალენსია-კრკა | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | | | | | | | | |
| 24.00 | 2106 | ლაციო-პორტუ | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 00.05 | 2107 | ბოავიშტა-სელტიკი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |

## 3001 ჰოკეი. მს. ჩემპიონი

| | |
|---|---|
| ფინეთი | 3,6 |
| ჩეხეთი | 4,5 |
| რუსეთი | 4,5 |
| კანადა | 4,5 |
| შვედეთი | 6,0 |
| სლოვაკეთი | 9,0 |
| ა.შ.შ | 10,0 |
| გერმანია | 50,0 |
| ლატვია | 50,0 |
| შვეიცარია | 75,0 |
| უკრაინა | 75,0 |
| ავსტრია | 150,0 |
| ბელარუსია | 150,0 |
| დანია | 250,0 |
| სლოვენია | 250,0 |
| იაპონია | 500,0 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | |
| 24.00 | 1005 | ლაციო-პორტუ | 6.5 | 1.05 |
| 00.05 | 1006 | ბოავიშტა-სელტიკი | 1.6 | 2.0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | | | | | |
| 24.00 | 2006 | ლაციო-პორტუ | 2.0 | 2.25 | 5.3 | 1.05 | 1,45 | 1.57 |
| 00.05 | 2007 | ბოავიშტა-სელტიკი | 2.9 | 2,05 | 3.4 | 1.2 | 1.56 | 1.27 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | |
| 24.00 | 2306 | ლაციო-პორტუ | 1.65 | 1.95 |
| 00.05 | 2307 | ბოავიშტა-სელტიკი | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | |
| 24.00 | 2406 | ლაციო-პორტუ | 1,4 | 3.0 |
| 00.05 | 2407 | ბოავიშტა-სელტიკი | 1,85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | | |
| 24.00 | 2506 | ლაციო-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.05 | 2507 | ბოავიშტა-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 24 აპრილი | | |
| 24.00 | 2206 | ლაციო-პორტუ | 2.0 | 1.6 |
| 00.05 | 2207 | ბოავიშტა-სელტიკი | 1.7 | 1.9 |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1 კორპუსი

კროკოს უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1° კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა № 15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი № 11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა № 14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის № 18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა № 145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## კვირას, 27 აპრილს, აღდგომას კროკო არ იმუშავებს

## ჩემპიონები და თასის აღება

**უეფას თასი**
**24 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 024 | პორტუ | 1,6 |
| 025 | სელტიკი | 3,0 |
| 034 | ბოავიშტა | 4,0 |
| 021 | ლაციო | 5,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**26 აპრილი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 052 | მანჩესტერი | 1,6 |
| 051 | არსენალი | 1,9 |

**იტალია. სერია A**
**26 აპრილი (23.30)**

| | | |
|---|---|---|
| 063 | იუვენტუსი | 1,05 |
| 062 | ინტერი | 4,0 |
| 061 | მილანი | 6,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**26 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 071 | რეალი | 1,15 |
| 072 | სოსიედადი | 3,5 |
| 074 | დეპორტივო | 3,5 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**
**28 აპრილი (20.15)**

| | | |
|---|---|---|
| 082 | ლიონი | 1,8 |
| 083 | მონაკო | 2,3 |
| 081 | მარსელი | 3,2 |
| 089 | ბორდო | 5,0 |

**თურქეთი. I ლიგა**
**26 აპრილი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 132 | ბეშიქთაში | 1,35 |
| 131 | გალათასარაი | 2,4 |

**შოტლანდია**
**პრემიერლიგა**
**27 აპრილი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 141 | რეინჯერსი | 1,05 |
| 142 | სელტიკი | 5,0 |

**დანია**
**სუპერლიგა**
**27 აპრილი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 151 | კოპენჰაგენი | 1,1 |
| 152 | ბრიონდბიუ | 3,6 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**27 აპრილი (19.15)**

| | | |
|---|---|---|
| 162 | გრასჰოპერი | 1,45 |
| 161 | ბაზელი | 2,0 |

**კალათბურთი. ევროლიგა**
**9 მაისი (20.00)**

| | | |
|---|---|---|
| 262 | ბენეტონი | 2,0 |
| 261 | ბარსელონა | 2,5 |
| 264 | ცსკა | 3,5 |
| 274 | სიენა | 4,6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკალათბურთო აგენტი დღევანდელობის ერთგვარი სოვდაგარია. სარფიანი საქონლის ძიებაში აგენტები მსოფლიოს კიდით-კიდემდე დადიან, დღეს რომ ბრაზილიაში არიან, ხვალ ჩინეთში ამოყოფენ თავს, საკალათბურთო რუკის ყველაზე მივარდნილ კუნჭულებში იჭვრიტებიან. სარფიან საქონელს ახალგაზრდა, ნიჭიერი კალათბურთელები წარმოადგენენ, რაშიც შეძლებული კლუბები სოლიდურ თანხას იხდიან. ასე რომ, საკალათბურთო აგენტის სავაჭრო დახლზე შესაძლოა გვერდიგვერდ წააწყდეთ ძვირადღირებულ, ცნობილ კალათბურთელსა და ჯერაც დაულვინებელ, მაგრამ დიდი პერსპექტივის მქონე, შედარებით იაფფასიან ახალგაზრდას. მაგალითისთვის შორს არ წავალთ, აგერ, ბატონო, სერბი ალექსანდრ რაშკოვიჩი, რომელიც პრედრაგ სტოიაკოვიჩის მენეჯერია და ამავდროულად ყველასთვის უცნობ ახალგაზრდა ქართველს, გიორგი მამაცაშვილსაც პატრონობს. რაშკოვიჩი მუშაობს ერთ-ერთ სოლიდურ ამერიკულ საკალათბურთო სააგენტო SFX-ში, რომლის კლიენტებიც არიან მაიკლ ჯორდანი, კობი ბრაიანტი, ტრეისი მაკგრეიდი და... მგონი, გაგრძელება ზედმეტია. რაშკოვიჩი სამი დღით იყო თბილისში ჩამოსული, სასტუმრო „მარიოტში" იდგა და ჩვენც ინტერვიუზე იქ მივაკითხეთ...



ქართველთა კიდევ ერთი იმედი გიორგი მამაცაშვილი, მისი პირველი მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია და მენეჯერი ალექსანდრ რაშკოვიჩი

# სტოიაკოვიჩის მენეჯერის ქართული დიაგნოზი

## უღონო ჩემპიონატი ნიჭიერების საბადოა

**— საქართველოში პირველად ხართ?**

— დიახ, პირველად. ჩამოვედი, რათა ჩემი თვალით ვნახო, თუ საიდან მოდიან ის ახალგაზრდა ბიჭები, ევროპა რომ აალაპარაკეს. იმ ქვეყანაში, რომელსაც ასეთი მძლავრი ლეგიონი ჰყავს, კიდევ არაერთი პერსპექტიული ახალგაზრდა გამოიძებნება. მაგრამ ჩემი თბილისში ჩამოსვლის მიზანი მხოლოდ ეს არ ყოფილა. პირადად გავიცანი გიორგი მამაცაშვილისა და სერგო ათუაშვილის მშობლები.

**— ვიცით, რომ თქვენ ამ კალათბურთელების მენეჯერი ხართ. როგორ არის მათი საქმეები, მოეწყვნენ რომელიმე კლუბში?**

— სერგო ათუაშვილმა უკვე გააფორმა კონტრაქტი ესპანურ „ვალენსიასთან", მამაცაშვილი კი „ოლიმპიაკოსში" ვარჯიშობს. გიორგი ფაქტობრივად უკვე გუნდის წევრია, მომავალი სეზონიდან ის „ოლიმპიაკოსში" ითამაშებს.

**— რამდენიმე თვის წინაც ასე იყო, მამაცაშვილის „ბარსელონაში" ჩარიცხვას თითქოს არაფერი ედგა წინ, მაგრამ... იგივეს თქმა შეიძლება იტალიურ „სკიპერზეც".**

— საქმე ისაა, რომ ესპანეთსა და იტალიაში უცხოელ კალათბურთელებზე მკაცრი ლიმიტია დაწესებული. ეგ ამბავიც, მამაცაშვილი ბარსელონელი ხდებაო, სხვა ხალხის, ცრუაგენტების აგორებულია. გიორგის ოჯახში თურმე სხვადასხვა აგენტი რეკავდა და მის მშობლებს პირდებოდა, თქვენ შვილს „ბარსელონაში" მოვაწყობო. კატალონიურ კლუბთან პირადად მქონდა მოლაპარაკება და საბოლოოდ ვერ შევთანხმდით.

**— გავიგეთ, ბარსელონელებს მამაცაშვილი ეძვირათო...**

— ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. ყველას სურს, პერსპექტიული ახალგაზრდა იაფად ჩაიგდოს ხელში.

**— საბერძნეთში მამაცაშვილს პრობლემა არ შეექმნება?**

— ბერძნებმა იციან გიორგის ფასი. იგი ძალიან პერსპექტიული კალათბურთელია. შეიძლება ითქვას, ევროპელთაგან ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომავლის მოთამაშე. მამაცაშვილს კარგ მონაცემებთან ერთად ნიჭიც აქვს. 197-სანტიმეტრიანი გამთამაშებელია, ბურთს მშვენივრად ფლობს, პასიც იცის და დაცვაშიც თამაშობს. ვიცი, რომ საქართველოს ნაკრებს გამთამაშებლის პრობლემა აქვს. გარწმუნებთ, ეს პრობლემა ერთ-ორ წელიწადში აღარ გექნებათ.

**— გეტყობათ, ჩვენს ნაკრებზე საკმარის ინფორმაციას ფლობთ. მის სიძლიერესა და პერსპექტივაზე რას იტყვით?**

— პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და საქართველოს ნაკრები (რომელიც ჯერ არ შეკრებილა) ერთ-ერთი ყველაზე მჩარდი გუნდია ევროპაში. ჩემი აზრით, საქართველო სერბეთთან და ლიტვასთან ერთად ნიჭიერი ახალგაზრდების ყველაზე მდიდარი საბადოა ევროპაში. ისიც ვიცი, მწვრთნელად უცხოელი რომ დანიშნეთ. სამწუხაროდ, დრაჟენ ბრაიკოვიჩს არ ვიცნობ, მაგრამ, ვფიქრობ, იგი თავს გაართმევს თავის საქმეს. ასე, სამ-ოთხ წელიწადში საქართველოს ნაკრებს თავისუფლად შეეძლება ევროპის ხუთეულში შესვლა.

**— თქვით, საქართველო ნიჭიერ კალათბურთელთა საბადოაო. ვინმე ახალი ხომ არ აღმოგიჩენიათ ამ საბადოში?**

— ძირითადად ბავშვთა ვარჯიშებს ვესწრებოდი. აბა, ოდნავ წამოჩიტული ვინც გყავთ, ყველა საზღვარგარეთაა. 3-4 ბავშვი ძალიან მომეწონა. ისინი ჯერ 12-13 წლისანი არიან. გვარ-სახელები არ ვიცი. ისე, ჩემი პროფესიის კაცისგან არცაა სასურველი მათი ვინაობის საჯაროდ გაცხადება.

**— საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც დაესწარით. ვინმე თუ მოგეწონათ და რას იტყვით საერთო დონეზე?**

— არ გეწყინოთ და, თქვენი ჩემპიონატის დონე, ალბათ, ყველაზე დაბალია ევროპაში. აქ თამაშობს რამდენიმე კარგი კალათბურთელი, მაგრამ მხოლოდ ისინი ვერ აამაღლებენ დონეს. საქართველოს ჩემპიონატი ინდივიდუალისტების ტურნირია. რამდენიმე კალათბურთელს კი დავადგი თვალი, მაგრამ ახლა არ მინდა მათი ვინაობის გამხელა.

**— გეცოდინებათ, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციას ასაკობრივი ცენზი აქვს დაწესებული უცხოეთში წამსვლელ კალათბურთელებზე. ახალგაზრდას 18 წლამდე არ შეუძლია საზღვარგარეთ სათამაშოდ წასვლა.**

— ფედერაციის ხელმძღვანელობას უკვე შევხვდი. თუ რამე კონკრეტული ვარიანტი გამოჩნდა, რომელიც თავად უცხოეთში წამსვლელი კალათბურთელისთვისაც მომგებიანი იქნება და საერთოდ თქვენი ქვეყნის ნაკრებისთვისაც, ალბათ, პრობლემა არ უნდა შეიქმნას. თქვენი ფედერაციის მესვეურებს სხვა გეგმებზეც ვესაუბრე. დიდი შანსია, თბილისში სამწვრთნელო სემინარი ჩატარდეს. მე შემიძლია ევროპის მაღალი დონის სპეციალისტებთან ამ სემინართან დაკავშირებული საკითხების შეთანხმება. ვფიქრობ, ამ განხრითაც ნაყოფიერი იქნება ჩემი თანამშრომლობა საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან.

**— პრედრაგ სტოიაკოვიჩის მენეჯერი ბრძანდებით... მხოლოდ თქვენ კურირებთ ნბა-ს ამ ვარსკვლავის სატრანსფერო საკითხებს?**

— ცხადია. საერთოდ კი ის კომპანია, რომელშიც მე ვმუშაობ, ნბა-ს არაერთი ვარსკვლავის მენეჯერს აერთიანებს. ესაა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უმსხვილესი სააგენტო, რომელთანაც 100-მდე ნბა-ს მოთამაშე თანამშრომლობს. პირველად ჩემი კლიენტებისგან ყველაზე სახელიანი სტოიაკოვიჩია. მე მის გვერდში ვიყავი, როცა პეჯა დრაფტზე აირჩიეს. მას რომ „საკრამენტოსთან" 5-წლიანი და 45-მილიონიანი კონტრაქტი აკავშირებს, ესეც ჩემი ძალისხმევითაა. ერთ წელიწადში სტოიაკოვიჩის კონტრაქტი სრულდება და აუცილებლად მომიწევს დაფაცურება. ვეცდები, ნბა-ს კლუბები, რაც შეიძლება ბევრმილიონიან კონტრაქტზე დავითანხმო.

**— ამ საქმეში გამოცდილი ხართ... მაინც რა არის მთავარი იმისთვის, რომ კალათბურთელი ნბა-ში მოხვდეს?**

— რეკლამა, რეკლამა და ნორმალური მონაცემები. ამას მხოლოდ ნბა-ში მოხვედრაზე ვამბობ, თორემ რამეს რომ მიაღწიო, საკუთარი ტვინის გარდა ვერაფერი დაგეხმარება.

**— როგორ ფიქრობთ, ნიკა ცქიტიშვილი რომელი მიზეზის გამო აიყვანა „დენვერმა" დრაფტზე მე-5 ნომრად?**

— უდიდესი პოტენციალისა და ფანტასტიკური მონაცემების გამო. ნიკა დრაფტამდე ორიოდ დღით ადრე ჩავიდა ამერიკაში, მაგრამ მისი მონაცემების შესახებ იქ უკვე ყველაფერი კარგად იცოდნენ. ცქიტიშვილმა რომ ნბა-ში სათანადო დონეზე ვერ ითამაშოს, სასწაული იქნება.

**ირაკლი პერტაია**



REUTERS

კაფანდარა მინესოტელმა კევინ გარნეტმა ამხელა „ლეიკერსი" წელში გადაამტვრია

NBA PLAY OFF პირველი წრე ოთხ მოგებამდე

# მგელია თუ ტროას ცხენი?

## ტროი ჰადსონმა ლეიკერსი გადაწვა

22 აპრილი

### აღმოსავლეთი

#### ნიუ ჯერსი 1:1 მილუოკი

**ნიუ ჯერსი 85:88 მილუოკი**

**ნიუ ჯერსი: კიდი (17), კოტლზი (2), ჯეფერსონი (16), მარტინი (22 ქულა, 12 მოხსნა), კოლინზი (2); ჰარისი (8), როჯერსი (8), უილიამსი (8), მუტომბო (2)**

**მილუოკი: პეიტონი (22), კასელი (21), დ. მეისონი (5), ტომასი (18), პრჟიბილა (2); კუკოჩი (11), რედი (7), ე. მეისონი (2), ჯონსონი**

„მილუოკი ბაქსმა" ისტ რეზერფორდში (ნიუ იორკის გარეუბანია) „ნიუ ჯერსი ნეტსს" მოუგო და სერიაში ანგარიში 1:1 გაათანაბრა. ისე, უკეთესი იქნებოდა, გვეთქვა, მილუოკელმა გერი პეიტონმა პირადი დუელი მოუგო ნიუჯერსელ ჯეისონ კიდს და ანგარიში გაათანაბრაო.

პირველი და საშინლად უღიმღამო მატჩის შემდეგ პეიტონს კრიტიკა არ მოაკლდა. მილუოკურ გაზეთებს მისთვის დედ-მამა არ ამოუტრიალებიათ, თორემ ბევრი მწარე აბზაცი კი უძღვნეს და ზოგმა საერთოდაც ჩამოწერა. „ბაქსის" ბებერმა მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა დროის შეგრძნება დაკარგა, გუნდში მასავით ბებერი მოთამაშე მოიყვანაო — ასეთი ფრაზები გაისმა ტელევიზიაში და დაიწერა საკალათბურთო გვერდებზე. კარლს კიდევ ერთხელ დაუწუნეს ჯან-ღონით სავსე რეი ალენის ნაცვლად გუნდში 32 წლის გერი პეიტონის მიყვანა. ასეც კბენენ — კარლს ძველი სიყვარული ეწვიაო — ჯორჯ კარლი პეიტონს „სიეტლში" წვრთნიდა შუა 90-იანებში.

პეიტონმაც, რომელმაც პირველ თამაშში ოდენ 8 ქულა მოიხვეჭა და კრიტიკას, ცხადია, იმსახურებდა, ახლა თავი გამოიდო და „ბაქსს" 22 ქულა და 7 პასი მიაშველა. დაცვაშიც ფხიზლობდა და მართალია, ჯეისონ კიდს 17 ქულის გაკეთების უფლება მისცა, სამაგიეროდ, შეტევის გავრცობა და თამაშის ტემპის კონტროლი არ აცალა, თავად კი ფეხმარდი მეწყვილის სემ კასელის დახმარებით „ნიუ ჯერსის" კალათი პერიმეტრიდან მოაოხრა.

მთლიანობაში თამაში მაინც თანაბარი გამოდგა, რაკი 12-კაცა განაცხადში „მილუოკის" ერთი ხეირიანი მეფარეც არ მოეძევება. ნიუჯერსელი მოზვერა კენიონ მარტინიც ანეიტრალებდა თავისი გუნდის გარღვევას უკანა ხაზში. ეს იყო ერთფეროვნებამდე დაძაბული მატჩი, რომელშიც ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა 5 ქულაზე მეტით დაწინაურება, 48 წუთში ლიდერიც 30-ჯერ (!) შეიცვალა. შეხვედრის მიწურულს „მილუოკიმ" მცირე უპირატესობა მოიპოვა და მოახერხა მისი შენარჩუნება.

### დასავლეთი

#### მინესოტა 1:1 ლეიკერსი

**მინესოტა 119:91 ლეიკერსი**

**მინესოტა: ჰადსონი (37 ქულა, 10 პასი), ჰილერი (5), შჩერბიაკი (21), გარნეტი (35 ქულა, 20 მოხსნა, 7 პასი), ნესტეროვიჩი (2); ჯეკსონი (12), სტრიკლენდი (4), ვილკსი (3), გილი, ტრენტი, ვუდსი**

**ლეიკერსი: ფიშერი (8), ბრაიანტი (27), ფოქსი (6), მადსენი (7), ონილი (27 ქულა, 14 მოხსნა); რაში (7), ჰორი (6), ჯორჯი (2), შოუ (1), პარგო, უოლკერი, მედვედენკო**

თავმოყვარე გუნდია და ასე მუქთად არ ჩაბარდება „ლეიკერსსო", ამბობდა ხალხი „მინესოტაზე" პირველ თამაშში ჩემპიონთან მწარე მარცხის შემდეგ. ამდენს კი ნაღდად არავინ ელოდა „მგლებისგან", თავად ისინიც კი.

„მინესოტა ტიმბერვულვზმა" მეორე თამაშში სრულფასოვანი რევანში აიღო, 28 ქულით დაამარცხა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი", ასე გამოუჩინა ეშვები ბოლო სამი სეზონის ჩემპიონს. რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ვარსკვლავმა კევინ გარნეტმა მომხვდურებს 35 ქულა აჯახა, 20 ბურთი მოუხსნა და მისით აღფრთოვანებულ მინესოტელებს კიდევ ერთხელ მისცა საბაბი, იგი სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოკითხვაში მთავარ ფავორიტად დაესახელებინათ.

წოწოლა გარნეტი, ცხადია, მარტო არ ეომებოდა მთაკაც შაკილ ონილს და მისი ჩრდილიდან ბოლოს და ბოლოს გამოსულ კობი ბრაიანტს. „მინესოტას" ლიდერს დაბალმა თანაგუნდელებმაც მიაშველეს ქულები. შარშანდელი ოლ სტარის მონაწილემ ვალი შჩერბიაკმა 21 ქულა მოთიბა, ჯერაც უსახელო გამთამაშებელმა ტროი ჰადსონმა კი სულ აოხრა „ლეიკერსის" კალათი — 37 ქულა ჩააგდო. ამდენის მოგროვება კი კაშკაშებსაც უჭირთ პლეი ოფის მატჩში. ჰადსონს აქამდე ყველაზე მეტი, 31 ქულა შეეგროვებინა.

საარაკოა 28-ქულიანგი საპლეიოფო გამარჯვებაც. „მინესოტას" ასეთი სხვაობით არასდროს მოუგია პლეი ოფში. დროულიც იყო გამარჯვება, „მგლები" საკუთარ ძალას ირწმუნებენ და ლოს ანჯელესშიც იმედიანდ ჩავლენ.

და მაინც — „არა მგონია, მაგათ ამაზე მეტი შეეძლოთ — ამბობს ჩემპიონთა მრავლისმნახველი მწვრთნელი ფილ ჯექსონი — ჩვენ კი დაუსრულებლად შეგვიძლია მოვუმატოთ."

**კოტე ყორშია**

საქართველოს 12 ჩემპიონატი

### საქართველოს ჩემპიონატი

23 აპრილი, ბათუმი

| | |
|---|---|
| ბასკო 113:64 სსუ | ქუთაისი 45:101 დინამო |

# სათოხნარო დაშლა-არმოშლა

## მონტედან – ბარსელონაში, კარლოდან – ჰიუსტონში




ირაკლი ლაბაძეს ოდესღაც ანდრე აგასის ძლევით გაუხარია

წლის პირველ მასტერსთიხნარზე მოქუჩებული კაცები ნამონტეკარლოევს კვლავ ორად გაიყვნენ – რომანულენოვნებმა, ლანარჩენმა ევროპელებმა და მეთიხნარე არაევროპელებმა მილიონევროიან ბარსელონურ ტურნირზე გადაინაცვლეს, ამერიკელები, სამხრეთამერიკელთა ნაწილი და რამდენიმე ევროპელი კი ჰიუსტონს ეწვიენ, სადაც აშშ-ის თიხნარპირველობაზე დათქმული 380 ათასი დოლარისთვის უნდა იჩალიჩონ.

პირველი დღეები ორივეგან ხმაურიანი ამბების გარეშე ჩათავდა. ჩვენთვის გამორჩევით საინტერესო კი ის იყო, რომ ირაკლი ლაბაძემ ჰიუსტონის პირველ წრეში ამერიკელ ბრაიან ვაალის აჯობა და სამეორწრეოდ ანდრე აგასისთან ჩოგნაობა დაიბევა. შეგახსენებთ, ვაალისთან ლაბაძეს აქამდე ორჯერ ეთამაშა და ორჯერვე წაეგო, 8-გზის მესლემტიტულე არმენოამერიკელს კი ქართველი მხოლოდ ერთხელ, 2001 წლის შანხაური ტურნირის პირველ წრეში შეხვდა და – ეგებ გახსოვდეთ – 7:6, 7:5 გაარცა.

**OPEN SEAT GODO 2003**

**ბარსელონა. თიხნარი**

**საპრიზო 1 მილიონი ევრო**

### პირველი წრე

**იუნეს ელ აინაუი (9, მაროკო) – ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:3, 2:6, 7:6 (7:5); გასტონ გაუდიო (10, არგენტინა) – ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 4:6, 6:2, 6:4; ხოსე აკასუსო (არგენტინა) – ფერნანდო გონსალესი (11, ჩილე) 6:1, 3:6, 6:3; ტომი რობრედო (12, ესპანეთი) – ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 6:2; გილერმო კორია (13, არგენტინა) – ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:2, 6:2; ქსავიე მალისე (14, ბელგია) – ჰიშამ არაზი (მაროკო) 3:4 არაზიმ შეწყვიტა; გალო ბლანკო (ესპანეთი) – მაქს მირნი (15, ბელარუსი) 6:4, 7:6 (7:4); აგუსტინ კალერი (16, არგენტინა) – მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:2, 7:5; რაფაელ ნადალი (ესპანეთი) – ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 6:0 მარინმა შეწყვიტა; ფილიპო ვოლანდრი (იტალია) – მარკ ლოპესი (ესპანეთი) 6:4, 6:4**

### მეორე წრე

**ალბერტ კოსტა (3, ესპანეთი) – მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:3, 7:5; მარატ საფინი (4, რუსეთი) – სალვადორ ნავარო (ესპანეთი) 7:5, 6:2; დავიდ სანჩესი (ესპანეთი) – პარადორნ შრიჩაფანი (5, ტაილანდი) 6:0, 6:2; გაუდიო – არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4, 6:3; იარკო ნიემინენი (ფინეთი) – მალისი 6:3, 4:6, 6:0; კალერი – ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 7:6 (7:5), 6:2**

ამ ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი არგენტინელი გასტონ გაუდიოა. 24 წლის გაუჩომ, ვინაც კარიერის პირველი ტიტული სწორედ ბარსელონაში მოიხვეჭა, ხოლო ამას ერთ კვირაში მაღიორკული ჯილდოც შემატა, ტიტულის დაცვა რიგიანად დაიწყო. პირველ წრეში მან ესპანელ ვისენტეს სძლია, ხოლო მეორეში ფრანგ არნო კლემანს გასცდა და მესამისკენ გაივაკა.

შარშანდელ ფინალში მის მიერ ძლეული ალ კოსტა, რომელმაც მოგვიანებით როლან გაროსზე იჩემპიონა, მშობლიური ქალაქის თიხნარტურნირს მეორე წრიდან შეუერთდა. არგენტინელ საბალეტას ის სეტისწაუგებლად მოერია.

კოსტასთან ერთად საქმეში ჩაბმულ მთავარგანთესილთაგან იმარჯვა ტურნირის 2000 წლის ჩემპიონმა რუსმა მარატ საფინმაც, ვისაც მთელი ადრესეზონი რაგინდარა ტრავმებმა წაუმურდლა. ბოლოჯერ მან კოჭი დაიშავა, როცა რუსთა დევისნაკრებთან ერთად არგენტინაში საბულრაოდ ემზადებოდა. მაგრამ კოჭი ახლა რიგზეა და საფინი ამბობს, რომ მისი უმთავრესი მიზანი ამ როლან გაროსის მოგებაა.

პირველდღეთა უმთავრეს მოულოდნელობად იქცა მეხუთე ნომრად განთესილი პარადორნ შრიჩაფანის გავარდნა. შრიჩაფანი, ვინაც ამ კვირაში კაცთა ზეათეულში კი ალზევდა, მაგრამ არც ისე ქუხს, როგორც კლასიფიკაციობს, ესპანელმა დავიდ სანჩესმა აოტა. სანჩესი წლევანდელი ვინა დელ მარის ჩემპიონია, ეს მისი პირველი საკარიერო ტიტული იყო და – ლოგიკურად არ ებმის – მაგრამ სახებუშტა ტაილანდელს 54 წუთში გადაურბინა.

სხვაფრივ – ჩვენი ყურადღების არეს მოუბრუნდა 16 წლის ესპანელი რაფაელ ნადალი, რომელმაც წინა კვირაში მონტეკარლოურ თიხნარზე გაიბრწყინა. ამ ჯერზე მას მუხლატკივებული კოსტარიკელი ხუან ანტონიო მარინი დანებდა.

და კიდევ – ნადალის ღარად იმარჯვა 21 წლის უსახელო იტალიელმა ვოლანდრიმ, რომელმაც სახელი ნადალის კვალობაზე, საწინაკვირო მეოთხედფინალში უებრო გასვლით დაიგდო. ბარსელონაში ის თავის მორიგ შეხვედრას ტურნირის პირველგანთესილთან, მონტე-კარლოში ზედიზედ მეორეჯერ ნახეირებ ხუან კარლოს ფერეროსთან გამართავს.

**აშშ-ის თიხნარპირველობა**

**ჰიუსტონი**

**საპრიზო 380 ათასი $**

### პირველი წრე

**ანდრე აგასი (1, აშშ) – ზელკო კრაიანი (ხორვატია) 6:2, 6:0; ენდი როდიკი (2, აშშ) – ჯეფ მორისონი (აშშ) 6:3, 6:1; ჯეიმს ბლეიკი (3, აშშ) – ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 6:4, 6:4; იურგენ მელცერი (გერმანია) – ტეილორ დენტი (4, აშშ) 4:6, 7:6 (7:4), 6:3; ვინს სპედია (5, აშშ) – ჯეკ ბრეზინგტონი (აშშ) 6:3, 6:3; ლუის ორნა (პერუ) – ჟან-მაიკლ გემბილი (6, აშშ) 6:2, 6:4; ტოდ მარტინი (აშშ) – ჰიუნგ-ტაიკ ლი (8, სამხრეთ კორეა) 6:3, 6:4; *ირაკლი ლაბაძე* (საქართველო) – ბრაიან ვაალი (აშშ) 6:3, 6:7 (2:7), 6:3**

ტურნირის შვიდი მთავარგანთესილი ამერიკელია და ტეხასშიც, მოგეხსენებათ, მხოლოდ იქაურებს ეჩოგნავებინებათ. თუმცა ტურნირის პირველდღეებში ორი განთესილი ამერიკელი მაინც გააძევეს – ტეილორ დენტს უსახელო გერმანელი მელცერი მოერია, ჟან-მაიკლ გემბილი კი ტრიბუნაზე პერუელმა ორნამ აუშვა.

თუმცა ამ ამბებზე საინტერესო ბებერი ანდრე აგასის მიერ თავის პირველ საამსეზონო თიხნარმატჩში გამოსვლა გახლდათ. აგასიმ ხორვატი კრაიანი 47 წუთში შემუსრა და წლის მე-19 გამარჯვება კამაც-კამაც და ტრამპა-ცუმპად მიითვალა. ახლა მისი საწლევანდელო ბალანსი 19:1 ერთზეა და, როგორც სტატისტიკა გვამცნობს, ასეთი ბალანსი წლეულს სხვას არავის დაეკვეხება.

აგასი: „პირველ თიხნარმატჩი რიგიანი გამოდგა. მალე დავწინაურდი და კარგადაც ვუბრახუნე. თიხნარი საგანგებო მომზადებას საჭიროებს. საფარი ძალზედ სპეციფიურია და მასთან საბოლოოდ შეგუებას მხოლოდ რამდენიმე მატჩის შემდეგ ახერხებ."

**ლევან ძელაურაძე**




დავით სანჩესმა პარადორნ შრიჩაფანი, ეს ესაა, გააგდო



*თითქოს იოლი საქმე უნდა იყოს, თუკი მანქანის გიჟურად მართვა შეგიძლია, ჩაჯექი და იქროლე რამდენიც გინდა, მაგრამ მთლად ასეც არ ყოფილა საქმე. რამდენსაც გინდა, ვერ იქროლებ, ფორმულის ბოლიდის მართვას კაიბალი ფიზიკური დატვირთვა ახლავს და მობერებულ, ვთქვათ, 35 წლის მრბოლს ისევე უჭირს რკინის რაშის დამორჩილება, როგორც მის კბილა ფეხბურთელს, თავდამსხმელს მცველის მოტყუება*

# ბებრის ყვავილობა

## 64 წლის მარიო ანდრეტის საჭე ისევ სათამაშო ჰგონია



კიდევ ირბოლებენ ერთად მამა- შვილი ანდრეტები?

35 წელი ფორმულა 1-ში საპენსიო ასაკია, მაგრამ არა სამეფო ფორმულის ამერიკელ ნახევარძმა „კარტ-ში". აქ კაცი ხშირად შეხვდება 40 წელს აცილებულ მძღოლს. მართალია, ოკეანგაღმურ მანქანებს სპიდომეტრის შკალაში გაცილებით მაღალი სიჩქარეები უწერიათ, მაგრამ ამერიკულ ოვალურ ტრასებზე ბოლიდის დამორჩილება მაინც შეუდარებლად იოლია ფიზიკურად.

და მაინც, გაოცებას იწვევს კარტის ზოგიერთი მრბოლის ასაკი. ეიჯეი ფოიტი 57 წლისა დააჭენებდა რკინის მერანს ინდიანაპოლისის სახელგანთქმულ ოვალზე და ის კარგა ხანს რეკორდსმენი იყო. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ისევე როგორც ადამიანის მიერ დამყარებულ ყველა რეკორდს სხვა ადამიანისგან დამხობა უწერია, იქნებ ფოიტის მიღწევასაც ეს ბედი ეწიოს. სახელოვანი მრბოლი მარიო ანდრეტი 64 წლისა გავა ინდიანაპოლისის მილიან (1 მილი-1,6 კილომეტრს) რკალზე.

მარიო ანდრეტი, აგერ, ნახევარი საუკუნეა, მსოფლიოს უსწრაფეს მანქანებს უტრიალებს, ბევრ რბოლაზე გასულა, ბევრი ჩემპიონატიც მოუგია, როგორც კარტ-ში, აგრეთვე ფორმულა 1-ში. ის 1994 წლიდან აღარ უზის საჭეს, თუმც სულ კარტ-ში ტრიალებს. ახლა მის გუნდ „დალარაჰონდაში" ასეთი სიტუაცია შეიქმნა: ორივე წამყვანი პილოტი – დარიო ფრანკიტი და ტონი კანაანი – დაიმტვრა და გუნდი მხოლოდ ორი მრბოლის, ახალბედა დან უელდონის და მარიო ანდრეტის შვილის მაიკლ ანდრეტის იმედადღაა. ანდრეტი-უმცროსიც ვეტერანია, მალე პენსიაზე გავა, ის მეორეც სულ გამოუცდელია... ჰოდა, შვილმა მამას შესთავაზა – ხომ არ გეცადაო.

„გამოწვევას არასდროს გავქცევივარ. ვიცი, დიდი რბოლებისთვის ძალიან მოხუცი ვარ, მაგრამ ამას წინათ ჩავჯექი ბოლიდში და თავი „შინ" ვიგრძენი" – ამბობს ბებერი სუპერმარიო. მართალია, ის ჯერ მხოლოდ მანქანას გამოსცდის ინდი-500-ის წინ, მაგრამ თუ ტონი კანაანი დროულად ვერ მომჯობინდა, ვინ იცის, მოხუცი ჩემპიონი ეგებ რბოლაში მონაწილეობასაც დათანხმდეს.

„ის შესანიშნავად გრძნობს თავს – ამბობს მაიკლ ანდრეტი მამაზე – ვნახოთ, როგორ გამოუვა პირველი გასვლები, მაგრამ, მგონი, შემზადების გარეშეც შეუძლია რბოლა. ახლა მას პატარა ბავშვივით უხარია და ერთი სული აქვს როდის დაუდგება ნანატრი წამი."

**კოტე ყორშია**



# მადიარებს მადა წაუხდათ

**ბუდაპეშტში** ახლახან ჩამთავრებული საჭადრაკო ტურნირში „ნიჭი და სითამამე" გამარჯვება ინგლისელ დიდოსტატ ნაიჯელ შორტს შერჩა. ინგლისელისთვის ეს ტიტული კარიერაში მეორეა. შორტს აქამდე შედარებით სუსტ, ჰამპლონურ ტურნირში ემარჯვა 1999 წელს.

„ნიჭიერთა" და „თამამთა" ტურნირი უნგრელმა ორგანიზატორებმა ბუდაპეშტის 130-ე წლისთავს დაამთხვიეს და დიდი იმედი ჰქონდათ, რომ გამარჯვებულად თანამემამულეს დაისვამდნენ. ამისათვის მათ ქვეყნის საუკეთესო მოჭადრაკეებს – ლეკოს, იუდით პოლგარს, აჩს, ალმაშს და ბერკეშს მოუყარეს თავი. თუმც მადიარებს კოვზი დუნაიში ჩაუვარდათ და საბოლოოდ ბუდაპეშტური ჯილდო შორეულ ალბიონელს დაუთმეს.

ინგლისელმა დიდოსტატმა ჯილდო ფაქტობრივად ბოლოსწინა ტურში გაინაღდა, როდესაც უშუალო კონკურენტ იუდით პოლგარს მოუგო და ერთი ქულითაც გადაუსწრო. უნგრელთა იმედები კიდევ ბჟუტავდა – ინგლისელი მაჩანჩალა ალმაშთან უნდა დამარცხებულიყო, პოლგარს კი გონიერ ებრაელ გელფანდისთვის აუცილებლად უნდა მოეგო.

შორტი ზედმეტ რისკსა და წვალებას კი არა, საერთოდ თამაშს მოერიდა და უკვე 9 სვლაში დაუზავდა მოწინააღმდეგეს, რითაც პოლგარისთვის მიუწვდომელი შეიქნა. თანაც, პოლგარმა დიდი ტვინის ჭყლეტის მიუხედავად, ვერაფერი მოუხერხა გელფანდს და 29-ე სვლაზე მოწინააღმდეგეს სურვილის საწინააღმდეგოდ დაუზავდა.



ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა ამდენ უნგრელს ერთად მოუგო

რაც შეეხება თბილისში დაბადებულ და სლოვაკეთის სახელით მოთამაშე მოვსესიანს, იგი ბოლო ტურში ლეკოს შეეჩეხა და ახლოსაც იყო კარიერაში ყველაზე სასახელო გამარჯვებასთან, თუმც ერთი შეხედვით უწყინარ სიტუაციაში შეცდა, დამარცხდა და ტურნირი მერვე ადგილზე დაასრულა.

ტურნირის ორგანიზატორებმა პირველ ხუთ მოთამაშეს, ჭადრაკისთვის სოლიდური ფულადი პრემიები დაურიგეს – გამარჯვებული შორტი 7 ათასი ევროთი დაასაჩუქრეს, მეორე ადგილზე გასულ პოლგარს კი 5 ათასი უფეშქაშეს.

**ლუკა გეგეჭკორი**



საქართველოს საუკეთესო სამთო მოთხილამურემ, 22 წლის თბილისელმა სოფო ახმეტელმა თავისი ყველაზე წარმატებული სეზონი რამდენიმე დღის წინ გუდაურში გამარჯვებით დაასრულა. ორდღიან ეროვნულ ჩემპიონატში მან სლალომშიც და გიგანტურ სლალომშიც ყველას აჯობა და უკვე მერამდენედ აბსოლუტური პირველობა მოიპოვა. სოფო ექვსი წელია, რაც დიდ სპორტში ტრიალებს, ავსტრიაში, ინსბრუკის მახლობლად დაბა ჰინტერტუქსში ცხოვრობს და იქვე ვარჯიშობს, ცხადია, შესანიშნავ პირობებში. თბილისში სეზონის ბოლოს, მცირე ხნით თუ შემოივლის ხოლმე. ახლანდელი არდადეგებიც გუდაურის ფერდობებზე სასრიალოდ გამოიყენა.

ახლა ყველაფერი კარგადაა, არადა, 2000 წლის ბოლოს სოფიკომ მეორედ მოიტეხა ფეხი და იტალიაში რთული ოპერაცია გაუკეთეს. გამოჯანმრთელებას დიდი დრო დასჭირდა და, ბუნებრივია, შარშანდელი შედეგები სასურველი ვერ იყო. სამაგიეროდ, წლეულს არაერთ წარმატებას მიაღწია, რის შემდეგაც 8000 მოსრიალე ქალთა საკვალიფიკაციო სიაში უკვე სამასეულშია

# ახ, ნეტავი, ახმეტელო!

## ჩვენი მსოფლიო სოფიოა

*რამდენიმე დღეში სოფო კვლავ მიაშურებს ავსტრიას. მანამდე კი ის და მამამისი, ზამთრის სახეობათა ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლერი ახმეტელი რედაქციაში გვეწვივნენ.*

*პირველად, სოფოს დასრულებულ სეზონზე შევეკითხეთ.*

— ჩემთვის ეს წელი მართლაც ნაყოფიერი გამოდგა — საქართველოს ჩემპიონატის ჩათვლით, 49-ჯერ გავედი სტარტზე, მათ შორის ოთხჯერ მსოფლიოს თასის ეტაპებზე ავსტრიასა და იტალიაში. რაც მთავარია, მესამედ მივიღე მონაწილეობა მსოფლიოს ჩემპიონატში და შვეიცარიის კურორტ სანკტ მორიცში ჩემთვის საუკეთესო, 36-ე ადგილი დავიკავე დაახლოებით 60 მოთხილამურეს შორის. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ეს სულაც არაა ცუდი შედეგი და სწორედ ამის შემდეგ გამიჩნდა მომავალ პირველობაზე ელიტარულ ოცდაათში მოხვედრის იმედი. გარდა ამისა, ვიასპარეზე ბელგიისა და ხორვატიის ღია ჩემპიონატებში, აგრეთვე იტალიის სტუდენტურ პირველობაში. ბოლო შეჯიბრი კი ბალკანეთის ქვეყნების ღია ჩემპიონატის ორი ეტაპი იყო ბულგარეთსა და საბერძნეთში. უფრო მეტი ტურნირიც დამიგროვდებოდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გრიპის გამო სამი კვირა გამიცდა. ჯამში, ჩვეულებრივი სლალომისა და „გიგანტის“ ჩათვლით, ოთხჯერ გავიმარჯვე, ხუთჯერ მეორე ადგილზე გავედი, ერთხელ — მესამეზე. საბოლოოდ, 12-ქვეყნიან „ბალკანიადაში“ მეორე ადგილი დავიკავე ჩემს იუგოსლაველ თანატოლ ელენა ლოლოვიჩის შემდეგ, რომელმაც ჩემზე ერთი საპრიზო ადგილით მეტი დააგროვა. და მაინც, ამ პირველ-მეორე ადგილების მიუხედავად, საუკეთესოშედეგად ხორვატიაში მე-12 ადგილს ვთვლი, რადგან იქ ბევრად მაღალრეიტინგიანი მეტოქეები მყავდა.

**— ფინანსური წახალისება თუ იყო გათვალისწინებული?**

— მხოლოდ საჩუქრები, მაგალითად, ციფრული ფოტოკამერა. ფულადი პრიზი კი ბალკანეთის ჩემპიონისთვის იყო დაწესებული — ლოლოვიჩმა ათასი ევრო მიიღო.

**— ავსტრიაში მარტო შენ ვარჯიშობ?**

— არა, იქ კიდევ რამდენიმე ქართველი მოთხილამურეა — თამარ რობაქიძე, თამარ გაგაძე, მარიამ კაიშაური. ზოგჯერ იასონ აბრამაშვილი და ათი წლის ჯაბა გელაშვილიც ჩამოდიან. ყველანი წარსულში ცნობილი მესლალომის, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ გერა აბრამიშვილის ხელმძღვანელობით ვემზადებით.

**— „ძვირ“ ავსტრიაში ამხელა გუნდის შენახვა იოლი არ იქნება...**

— რა თქმა უნდა, ასეა. ეს ყველაფერი საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტ გოგი თოფაძის მატერიალური ხელშეწყობით განხორციელდა. ამისთვის უდიდეს მადლობას ვუხდი ბატონ გოგის. მისი თანადგომა რომ არა, ნაკრების წევრებისთვის ასეთ პირობებზე ოცნებაც წარმოუდგენელი იქნებოდა. მე პირადად, ალბათ, საერთოდ დავანებებდი თავს თხილამურებს. ბოლო დროს თოფაძეს მხარში დაუდგნენ ახალგაზრდა ბიზნესმენები — გიორგი რამიშვილი და ლევან კაჭარავა, აგრეთვე გუდაურის სასტუმრო კომპლექსის დირექტორი ვახტანგ მიქელაძე.

**— ინვენტარს ფედერაცია ყიდულობს?**

— მე თხილამურებით ცნობილი ავსტრიული ფირმა „ფიოლკლი“ მამარაგებს. გარდა ამისა, იქაური ფედერაცია ჩვენს გუნდს ყოველწლიურად ახალ მიკროავტობუსს აძლევს ვარჯიშებზე და ახლო მანძილზე საშეჯიბროდ გასამგზავრებლად. ხანდახან იტალიის ფედერაციაც გვეხმარება. ეს მხარდაჭერა თოფაძის და აბრამიშვილის ავტორიტეტისა და უცხოელებთან პირადი კონტაქტის შედეგია.

**— შენს წლევანდელ გეგმებზეც დაგეკითხებით...**

— ჰინტერტუქსში რამდენიმე დღე ვივარჯიშებ, მერე კი იტალიაში ჩავალ საოპერაციოდ ფეხიდან ლითონის ღეროს ამოსაღებად. შემდეგ თბილისში დავბრუნდები გამოცდების ჩასაბარებლად, სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ვსწავლობ. ივნისში ისევ ავსტრიაში გავემგზავრები, იქ მყინვარზე, ზაფხულშიც შეიძლება სრიალი. ნოემბერში კი უკვე ახალი სეზონი დაიწყება.

**— ბატონო ლერი, ახლა თქვენ გკითხავთ, ჩვენი „ავსტრიელებიდან“ სოფოს გარდა სხვებმაც იასპარეზეს გუდაურში?**

— სხვადასხვა მიზეზით ყველამ ვერ შეძლო საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა. ორი სახეობაში პრიზიორები გახდნენ: სლალომში — ვახტანგ კოპაძე (თბილისი), გიორგი თედიაშვილი (ბაკურიანი) და ნიკა ჯალაღონია (თბილისი), გიგანტურში — ბაკურიანელი გიორგი ებრალიძე, გიორგი თედიაშვილი და თბილისელი ნოდარ ჩხეიძე. ქალთა შორის ორივეჯერ სამეული ერთი და იგივე იყო: სოფო ახმეტელი, მარიამ კაიშაური (გუდაური) და მარიამ კოპაძე (თბილისი). აღსანიშნავია, რომ ვაჟებში აბსოლუტური ჩემპიონობა ერგო 15 წლის ბაკურიანელ იასონ აბრამაშვილს, რომელიც ასაკის გამო ჭაბუკთა ჯგუფში ასპარეზობდა და საერთო ჯამში ბევრად უფროსებს აჯობა.

**— გუდაურში საერთაშორისო შეჯიბრის ჩატარებას არ აპირებთ?**

— რამდენიმე წლის წინ იქ ერთხელ მოეწყო ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ჩვენი საქმის ალორძინების სურვილი კი გვაქვს, მაგრამ ფინანსური მხარე გვიქმნის პრობლემას. ჩვენნაირ ქვეყნებში უცხოელი მოთხილამურეები რომ ჩამოვიდნენ, მთელი ხარჯი მასპინძელმა მხარემ უნდა დაფაროს, რის საშუალებაც, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია. თუმცა, ცხადია, იმედს არ ვკარგავთ.

**გია ახალაძე**



სოფო ახმეტელი იტალიაში, სანტა კატერინას ფერდობზე



NHL სტენლის თასი. პირველი წრე

ოთხ მოგებამდე

# ველური სიმშვიდე

## კოლორადოც გაჰყარდა




დენვერის გაზეთი „როკი მაუნთინი“ ასე აფრთხილებდა კოლორადოს, მინესოტელ „მხეცებს“ ახლოს ნუ გაეკარები, დაგგლიჯავსო

## დასავლეთი

### კოლორადო 3:4 მინესოტა

**კოლორადო 2:3 მინესოტა** *0:0 1:1 1:1 0:1*

**1:0 ფორსბერგი (27), 1:1 დიუპუი (28), 2:1 საკიკი (54), 2:2 გაბორიკი (56), 2:3 ბრიუხეტი (64)**

2:3 ანგარიში საბედისწერო აღმოჩნდა კოლორადოსთვის. „ეველანშმა“ ბოლო სამი მატჩი სწორედ ამ ანგარიშით წააგო. უდიდესი სენსაციაა — გუნდმა, რომელიც სამი წლის წინ ლიგაშიც კი არ ასპარეზობდა, გააგდო მრისხანე ფავორიტი. კოლორადო იდეალური გუნდი არაა და არაერთხელ გასჭირვებია გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ამგვარ ფიასკოს ვერავინ უწინასწარმეტყველებდა.

არადა, მასპინძლები ძალიან ახლოს იყვნენ მოგებასთან, ორჯერ წინაც გავიდნენ, მაგრამ „ველურმა“ მინესოტამ უდიდესი ნებისყოფა და სიმშვიდე გამოამჟღავნა. სტუმრები ჯო საკიკის გოლის შემდეგაც არ აჰყვნენ პანიკას და როგორც კი შანსი მიეცათ, უმალ გამოიყენეს. სერიის მეორე ნახევარში ათამაშებულმა გუნდის ლიდერმა მარიან გაბორიკმა დენვერელებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ მინესოტასთან წესების დარღვევა სიკვდილის ტოლფასია. სერიაში გატანილი 16 გოლიდან „უაილდმა“ 8 (მათ შორის ორი ბოლო მატჩში) რიცხვმრავლობაში გაიტანა. ოვერტაიმში კი სასწაული მოხდა, სტუმართა პირველივე გააზრებული შეტევა გოლით დასრულდა. ენდრიუ ბრიუნეტმა ალბათ თავადაც არ დაიჯერა, რომ მცველებს ასე იოლად დაუსხლტა, მაგრამ საჩუქარი შეირგო და კოლორადო ბოლო 5 წელიწადში პირველად გააძევა პლეი ოფის პირველივე რაუნდიდან.

„სიტყვებით ამას ვერ აღვწერ. ყველამ სული და გული ჩავდეთ ამ თამაშში და ბოლომდე გავიხარჯეთ“ — თქვა მატჩის შემდეგ ბედნიერმა გაბორიკმა. აი, ასე მოიპოვა გამარჯვება გუნდმა, რომლის მოთამაშეებიც სერიის წინ აცხადებდნენ, ერთ თამაშს მოგებაც ძალიან გაგვახარებსო.

### ვანკუვერი 4:3 სენტ ლუისი

**ვანკუვერი 4:1 სენტ ლუისი** *1:1 2:0 1:0*

**0:1 რუჩინსკი (1), 1:1 ჰ. სედინი (12), 2:1 მორისონი (28), 3:1 ნესლუნდი (33), 4:1 ლინდენი (41)**

ეს სენტ ლუისი გუნდი არ ყოფილა! წარმატებისთვის აუცილებელი ყველაფერი აქვთ „ბლუზმენებს“, ძლიერი შემადგენლობა, ჩინებული თავკაცი, ყველეფერი, მაგრამ გუნდს პლეი ოფში ყოველ წელიწადს ერთი და იგივე რამ ემართება და ამას ვერც უიღბლობას დააბრალებ. სენტ ლუისს ჟინი არა აქვს. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, სერიაში 3:1 იგებდნენ, ბოლო მე-7 მატჩიც ხეირიანად დაიწყეს. ძალიან ჩქარა გამომჯობინდა გუნდის კაპიტანი ელ მაკინისი, გოლიც სწრაფად გაიტანეს... არაფერმა უშველა, ვერაფერი შეირგეს...

რუჩინსკიმ პირველი რაუნდის საუკეთესო ბომბარდირ დუგ უეიტის პასით შეაგდო, მაგრამ სტუმრები თანდათან ვანკუვერელთა წნეხის ქვეშ მოექცნენ და თავადაც შეუწყვეს ხელი მეტოქეს. თანაგუნდელებს მაგალითი თავად მაკინისმა მისცა — კაპიტნის არაზუსტი პასი ტყუპ სედინებს ანგარიშის გათანაბრებაში დაეხმარა. ეს იყო და, ვანკუვერმა უპირატესობა ხელთიგდო. გადამწყვეტი სიტყვა გუნდის ლიდერებმა თქვეს. ვანკუვერის პირველი სამეულის ფორვარდებმა — ბრენდან მორისონმა და მარკუს ნესლუნდმა კანადური გუნდი დააწინაურეს, ხოლო ტრევორ ლინდენის უმცირესობაში გატანილმა სენტ ლუისს საბოლოო განაჩენი გამოუტანა. ესაა ნჰლ-ის ისტორიაში მე-18 შემთხვევა, როცა სერიაში 1:3 ჩამორჩენილი გუნდი მეტოქეს ამარცხებს. ვანკუვერმა ეს მესამედ მოახერხა. ბოლო საპლეიოფო სერიაც ასე მოიგო 1995 წელს. მისი მეტოქე მაშინაც სენტ ლუისი იყო.

## აღმოსავლეთი

### ფილადელფია 4:3 ტორონტო

**ფილადელფია 6:1 ტორონტო** *2:0 3:1 1:0*

**1:0 განიე (17), 2:0 უილიამსი (20), 3:0 პრიმო (29), 3:1 რობერტსი (34), 4:1 რეკი (37), 5:1 რეკი (39), 6:1 ლაპოინტი (49)**

ეს მატჩი ასეთიც უნდა ყოფილიყო. მართალია, ტორონტომ შეძლო სერიაში ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ამას ბოლო ძალები შეალია და უკვე სულს ღაფავდა. ზუსტად ასეთი სიტუაცია შეიქმნა შარშან დეტროიტისა და კოლორადოს ზედაძაბულ დაპირისპირებაში, როცა მომავალმა ჩემპიონმა მეშვიდე მატჩი 7:0 მოიგო. ამჯერადაც ფილადელფიამ აშკარად დაჯაბნა მეტოქე, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი ორი გოლი თამაშის ლოგიკას არ ექვემდებარებოდა, მანამდე საკმაოდ თანაბარი ბრძოლა იყო. მეორე პერიოდში კი გამხნევებულმა „მფრინავებმა“ ფანტასტიკური ჰოკეი ითამაშეს და მეტოქის დაცვა მიწასთან გაასწორეს. მათზე ტორონტოელთა საპასუხო გოლსაც არ მოუხდენია გავლენა. ასე რომ, ფილადელფიამ ბოლო 3 წელიწადში პირველად გატეხა ნავსი და პირველი რაუნდის ბარიერი გადალახა. „არასდროს მინახავს, რომ გუნდს ასეთ სტრესულ ვითარებაში ასე მშვიდად ეთამაშოს“ — ესლა თქვა ფილადელფიის მრავლისმნახველმა თავკაცმა კენ ჰიჩკოკმა.

**სამველ ღარაბიანი**



REUTERS ტოკიოდან

# ცაში

ცაში მფრინავი მოტოციკლი ფრისტაილ-მოტოკროსში ჩვეულებრივი ამბავია. პიტერ მაკკანი და მაიკ რაიანის ცხენი სიდნეის ახლოს მიმდინარე ორკვირიან სააღდგომო შოუში ჩაბმულან. ამ შოუში არა მხოლოდ სპორტსმენები, არამედ გართობის ხალხიც მონაწილეობს.



REUTERS სიდნეიდან

# დაკრძალვა

იაპონელი მოტომრბოლი დაიჯირო კატო შაბათს გულის შეტევით გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ეგრეც ვერ მოიხედა ქქვს აპრილს სუძუკაზე მიღებული ტრავმების შემდეგ. მისი დაკრძალვა დიდი მწუხარებისა და ღირსების გამომხატველი იყო და კუბო მეგობრებთან ერთად მოტორბოლის ვარსკვლავებსაც მოჰქონდათ. იქვე იყვნენ მისი ცოლი მაკიკო და ორი წლის ვაჟი იკო. ცერემონიალი ტოკიოში გაიმართა.



REUTERS ტოკიოდან





# ტაიგერ ჯემი

დიდი მეგოლფე ტაიგერ ვუდსი თავის საქველმოქმედო საქმიანობას აგრძელებს. ლას ვეგასის „მენდელი ბეის“ დარბაზში“ უკვე მეექვსედ ტარდება „ტაიგერ ჯემი“, რომელშიც სულ განთქმული მომღერლები მონაწილეობენ. ვუდსი და მისი გელფრენდი ელინ ნორდინგენი ჯონ ბონ ჯოვისთან ერთად ხსნიან ჯემს, სადაც სულ ნარჩევი ხალხი იყრის თავს, ამათ შორის კი მეგოლფე ქალებიც: ნატალი გაბლისი, კრისტი კერი, ბეტ მაუერი და მიშელ მაკგოუნი. თავად ტაიგერი კი წამღერებასაც ბედავს. მთელი შემოსავალი ნაირგვარ ბავშვთა ფონდებს დაეგზავნება.



REUTERS ლას ვეგასიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge